cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 იანვარი, 2013 წელი.

№1 (7128)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დაბადების 80 და ალსაყდრებიდან 35 წლისთავი

პრეზიდენტმა პატრიარქს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მოუხსნა! ③

უნიკალურ გამარჯვებას უთუოდ განმტკიცება სჭირდება ⑤

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წერილი უფალს

უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ, ცოდვილნი!



უფალო, დაიცავ და შეიწყალენ უწმინდესი და უნეტარესი მამაი ჩვენი ქართველთაი ილია მეორე! შეეწიე მას უძლურების ჟამს. დაიფარე ყოველგვარი ბოროტებისაგან, ყოველგვარი ტკივილისაგან. მიეც მას გამძლეობა და ჯანმრთელობა. ნუ დასჯი ჩვენს მამას ჩვენი, ქართველთა ცოდვების და ურწმუნოების გამო, კვლავაც შენ გაახანგრძლივე მისი სიცოცხლე და ამით კიდევ ერთხელ მიეცი წყალობა ქართველ ერს.

ვიცი, რომ ჩვენ არ ვიმსახურებთ ამას, მაგრამ, გევედრები, კიდევ ერთხელ მოგვეცი შანსი, დავაფასოთ შენი მოწყალება ჩვენზედ.

ღვთისმშობელო, შენი უხილავი კალთა გადააფარე ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს. შენ დაიფარე იგი როგორც დედამ, ის ხომ შენი ერთ-ერთი საუკეთესო შვილია. მიეხმარე მას ფიზიკური უძლურების ჟამს, ქართველთა სულიერი გაჭირვების ჟამს და ამით დაიცავი შენი წილხვედრი ქვეყანა — საქართველო.

მადლობა ყველაფრისთვის.

მარიამ ტყეშელაშვილი
ქ. თბილისი.

მილოცვა

საძართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან საიუბილეო 80 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II.

თქვენო უწმინდესობავ, თქვენ, როგორც ღმერთის მსახური, ყოველთვის ნახულობდით ხერხსა და საშუალებებს, დაგეყენებინათ ქართველი ერი ჭეშმარიტების გზაზე. ყველა ჩვენგანის სურვილია, მრავალი და მრავალი წელი იცოცხლოთ და იყოთ ქართველი ერის სადარაჯოზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

უღრმესი პატივისცემით,
შოთა ჭალაგანიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

◎ ინფორმაცია

ბიძინა ივანიშვილი ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრას მთავრობის კანცელარიაში ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადემ ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანში ვიზიტის გამო და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოკითხვა გადასცა. მან იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანში ვიზიტის შედეგები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ გაჩნდა ახალი პერსპექტივები ყველა არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

შეხვედრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა აზერბაიჯანული მედიის წარმომადგენლებისთვის კომენტარიც გააკეთა.

ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე თბილისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისთვის აღსაყდრების 35-ე და დაბადების მე-80 წლისთავის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ეწვია.

შობის დღესასწაულზე ისრაელს საქართველოდან ლოცვადმავალთა ჯგუფები ვეღარ ესტუმრებიან

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტიდან ნანა ბუაძემ განუცხადა, მათ ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მომლოცველთა 46-კაციანი სია გადაუგზავნეს, თუმცა ყველა მათგანზე უარი მიიღეს.

— გადაგზავნილი საბუთები არც გადაუმოწმებიათ. ჩვენთვის რეალური მიზეზი უცნობია. ეს პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოდან მომლოცველთა დიდი ჯგუფები დიდ დღესასწაულზე ისრაელში ვეღარ ჩავლენ. წმინდა მიწაზე სიწმინდეების მოლოცვის ტრადიცია ბოლო 10 წელია არსებობს და იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოდან დიდ დღესასწაულზე ერთდროულად ისრაელში 1000-მდე მომლოცველიც ჩასულა. არ ვიცით, რა იქნება აღდგომისთვის, — განაცხადა ნანა ბუაძემ.

მისივე ინფორმაციით, პილიგრიმთა ჯგუფებზე უარი მიიღეს იმ ტურისტულმა კომპანიებმაც, რომლებსაც ისრაელში მომლოცველები მიჰყავდათ.

ინტერპრესნიუსი

◎ მოწოდება

დიდი ერთობის გარეშე ქვეყანაში მშვიდობა ვერ დაისადგურებს!

მივმართავთ ყველას და თვითონვე ვდგამთ პირველ ნაბიჯს ძალთა კონსოლიდაციისთვის

ქვეყანაში რეალურად შექმნილმა საგანგაშო მდგომარეობამ, რაც დადასტურდა სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში მოსახლეობასთან ჩვენი შეხვედრების დროს, დაგვარწმუნა იმაში, რომ დიდი ერთობის გარეშე ქვეყანაში მშვიდობა ვერ დაისადგურებს, ეჭვქვეშ დგება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობით შექმნილი საქართველოს მომავლის პროგრამა, რომლის მხარდაჭერა პირველი ოქტომბრის არჩევნებზე დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ.

სამწუხაროდ, აშკარაა, რომ საქართველოს დღევანდელი უბედურება დაკავშირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და პრეზიდენტ საკაშვილთან. პრეზიდენტი კვლავ დაპირისპირებაზეა ორიენტირებული. ყოველი მისი გამოსვლა ტრაგიკომედიაა და მისი უუნარობის აშკარა დადასტურებაა.

მოაზროვნე ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელია პრეზიდენტის ასეთი ქმედებები და მართლაც კომიკურია, რომ ქვეყნის მთავარსარდალი თავს ოპოზიციონერად აცხადებს და ქვეყნის მთავრობას ხელს უშლის საქმიანობის განხორციელებაში.

სწორედ ამიტომ ჩვენ, პრეზიდენტის გადადგომით გაერთიანებულ მემორანდუმში წარმოდგენილი ორმოცდაათამდე ორგანიზაცია, პატივისცემით მივმართავთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, არასამთავრობო სექტორს, საქართველოს მოსახლეობას და ვდგამთ პირველ ნაბიჯს იმ ძალთა კონსოლიდაციისთვის, რომელთაც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი პრეზიდენტის გადადგომაში და „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებაში მიაჩნიათ.

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მოქალაქეთა გაერთიანებასთან, რომელიც იზიარებს, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება მთავრდება 2013 წლის 20 იანვარს.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს პროცესი უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი, მშვიდობიანი, დემოკრატიული და ადასტურებდეს, რომ ეს არის ბრძოლა ღირსებისთვის.

ღირსება აქვს იმ ხალხს, რომელიც იცავს თავისი ქვეყნის კონსტიტუციას და იმ მოთხოვნას, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით.

მოგიწოდებთ! 2013 წლის 4 იანვარს 13:00 საათზე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ყველამ ერთად წარვადგინოთ ხალხის მოთხოვნა-ულტიმატუმი და ამით დავეხმაროთ მიხეილ სააკაშვილს, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც კონსტიტუციურად არის მართალი, ხოლო ქვეყნისთვის ღირსეული.

ერთსულოვანი საპროტესტო მუხტი შედეგს გამოიღებს და საკაშვილი ვეღარ შეძლებს, თვითნებურად გაიხანგრძლივოს ვადა 2013 წლის ოქტომბრამდე, თვითნებურად დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი.

პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმით
გაერთიანებული 50 ორგანიზაციის სახელით

რეზო ჩხეიძე, მიხეილ ანდღულაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, ელგუჯა გურდული, ვახტანგ ტატიშვილი, ნიაზ ბოლქვაძე, ზაზა ხატიაშვილი, იური ვაზაგაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, ნუგზარ კახნიური, ავთანდილ იოსელიანი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, რამაზ ყურაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი, ანზორ ბაბუხადია, გიზო შარვაშიძე, მარინა კაჟაშვილი, ვასილ კადენეცი, გიორგი გაგლოევი, შოთა ზოიძე, ლელა ნაცვალაძე, ედიშერ რევიშვილი, გულიკო გაბაძე, დავით თედორაძე, თეიმურაზ კვარაცხელია, ალექსანდრე კობაიძე, ნინო ჩხობაძე, გიორგი ჟორჟოლიანი, ნიკოლოზ მჟავანაძე, გურამ ჩხაიძე, გიორგი ახმეტელი, ირაკლი გიორგაძე, ნუნუ მუმლაძე, შოთა ჩხეიძე, ტიტე ლეფსაია, ნანა შარაშიძე, თამარ სამსონიძე, მარინე გოშაძე, ფრიდონ ინჯია, გიორგი შარვაშიძე.

◎ პატივმიგება

ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ბრწყინვალე გამოხატულება

2012 წლის 23 დეკემბერს, თელ-ავივში, ისრაელის ჟურნალისტთა კავშირის სააქტო დარბაზში ჩატარდა საზეიმო საღამო, რომელზეც ქართულ-ებრაული ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გივი ღამბაშიძე დაჯილდოვდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით, ჯილდო გადასცა კონგრესის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გივი ღამბაშიძე კონგრესის მიერ დაჯილდოებულთაგან პირველი არაებრაელი მედალოსანია. დაჯილდოებულთა შორის არიან ისრაელის სახელმწიფოს უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები: პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და პრეზიდენტი შიმონ პერესი. საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ ასობით ქართველი ებრაელი, ისრაელის პარლამენტისა და მთავრობის წევრები.

პროფესორ გივი ღამბაშიძეს ასევე გადაეცა საქართველოს ებრაელობის კვლევის ცენტრის (ისრაელი) საპატიო დიპლომი.

დაჯილდოება, შუაში გივი ღამბაშიძე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აი, „დამოკიდებულება!“

პრეზიდენტმა პატრიარქს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მოუხსნა!

„ამიერიდან საპატრიარქოს მოუწევს, დაიქირავოს კერძო დაცვის სამსახური, რაც გამართლებული არ არის და პრეზიდენტის მხრიდან პატრიარქის მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელია,“ — აცხადებს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში თეონა აქუბარდია For.ge-სთან საუბარში.

მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რას ერჩოდა პრეზიდენტი პატრიარქს, როდესაც ბრძანებულების თანახმად, პატრიარქსაც უხსნიდა დაცვას. მეტიც, თეონა აქუბარდიას თქმით, პრეზიდენტის ეს ნაბიჯი შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად შეფასდეს, რადგან კანონი განსაზღვრავდა იმ პირთა ნუსხას, რომელთაც იცავდა სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური და მათ შორის იყო როგორც პრეზიდენტი, ისე, მთავრობა, პრემიერი და პატრიარქი.

მისივე თქმით, როგორც ჩანს, საპატრიარქოს მოუწევს, დაიქირავოს კერძო დაცვის სამსახური, რაც მიუღებელია და პრეზიდენტის მხრიდან პატრიარქის მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელია იმ პირობებში, როდესაც ყველა ნებისმიერ სოციოლოგიურ გამოკითხვაში პატრიარქი ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი პირია. ამასთან, თეონა აქუბარდია არ გამორიცხავს, რომ ამას გარკვეული შეფასება საპატრიარქოსგანაც მოჰყვეს.

რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტს, ამიერიდან საკაშვილის კონტროლს მხოლოდ მისი პირადი და ოჯახის წევრების დაცვის ქვედანაყოფი დაექვემდებარება, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიქმნება. დაცვის სპეციალური სამსახურის ყველა სხვა დანარჩენი ქვედანაყოფი კი პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება.

ასეთია შეთანხმება, რომელსაც მმართველმა გუნდმა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან დაკავშირებით პრეზიდენტთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიაღწია.

უმრავლესობის წევრები ფიქრობენ, რომ წესით, ეს არ უნდა იყოს სერიოზული დანამატი ბიუჯეტისთვის, რადგან ამ კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იმიჯნება და ერთის ნაცვლად დაცვის ორი სამსახური იქმნება.

ამ საკითხთან დაკავშირებით თეონა აქუბარდია მიიჩნევს, რომ დაცვის სპეციალური სამსახურის თითქმის ყველა ქვედანაყოფის პრემიერ-მინისტრისადმი დაქვემდებარება მოსალოდნელიც იყო, რადგან პრეზიდენტი ისედაც აცხადებდა, რომ მას აღარ სჭირდებოდა სახელმწიფო დაცვა; და ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ინიცირებული იყო სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის შესახებ ცვლილებები და იგი მთავრობის კონტროლქვეშ უნდა გადასულიყო.

დაცვის სპეციალური სამსახურის ყველა სხვა დანარჩენი ქვედანაყოფის პრემიერ-მინისტრისადმი დაქვემდებარების მიზეზად თეონა აქუბარდია ასახელებს, რომ არჩევნების დასრულებისთანავე, პრეზიდენტმა თავისი განკარგულებით საკმაოდ სერიოზული ცვლილებები შეიტანა სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში და თავისთვის უფლებამოსილება გაიზარდა. ის ცდილობდა, სათავისო ბერკეტები შეექმნა იმისთვის, რომ დაპირისპირების პროცესში უპირატეს მდგომარეობაში ყოფილიყო. ამიტომ, ცხადია, პრეზიდენტისთვის ეს ბერკეტი უნდა გამოეცალათ.

„როდესაც პრეზიდენტი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას თალიბებს ეძახის და ამბობს, რომ ეს ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია, ამ რიტორიკაში აბსოლუტურად ჯდება ის, რასაც ვხედავთ; მაგრამ, როდესაც ამ პოლიტიკური ბრძოლის პროცესში რთავს უკვე საპატრიარქოს და პატრიარქს, ეს გაუგებარია,“ — გვითხრა თეონა აქუბარდიამ.

ის, რომ პრეზიდენტის კონტროლს მხოლოდ მისი პირადი და ოჯახის წევრების დაცვის ქვედანაყოფი დაექვემდებარება, სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძეს გამართლებულად არ მიაჩნია. მისი აზრით, როცა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავალთ და პრეზიდენტი მხოლოდ წარმომადგენლობითი ფიგურა იქნება (და არა უმაღლესი მთავარსარდალი და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი), მაშინ მისი დაცვის სამსახურის ცალკე გამოყოფა შესაძლებელი გახდება. ხოლო, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა სააკაშვილზეა დამოკიდებული, მისი პერსონის მიმართ დამოკიდებულების მიუხედავად, მას აუცილებლად სჭირდება სპეციალური სამსახური, რომელიც არა მხოლოდ დაცვას განახორციელებს, არამედ დაცვის სულ უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ანუ შეიძლება, პიროვნებას ახლდეს დაცვა და მას ფიზიკურად იცავდეს, მაგრამ მეორეა, როცა დაცვა ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის, გარკვეული სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისას. ასეთ დროს გაცილებით მეტი ღონისძიებები ტარდება, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური დაცვაა.

გარდა ამისა, გიორგი თავდგირიძის აზრით, პრემიერ-მინისტრისადმი დაცვის სპეციალური სამსახურის ყველა სხვა ქვედანაყოფის დაქვემდებარება გარკვეულ უხერხულობას შექმნის მანამ, სანამ ახალი კონსტიტუცია არ ამოქმედდება, რადგან ნომინალურად, თეორიულად მაინც პრეზიდენტი რჩება უმაღლეს მთავარსარდლად.

„ნაციონალური მოძრაობის გაუაზრებელმა პოლიტიკამ ასეთი რეალობა შეგვიქმნა, როცა ფაქტობრივად, ორი უმაღლესი მთავარსარდალი გვყავს — ერთი დე იურე პრეზიდენტი და მეორე — ფაქტობრივი, პრემიერ-მინისტრის სახით, რომელიც პასუხს აგებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე და მის ხელშია აღამასრულებელი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, გარდამავალ ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღება არ უნდა ვიჩქაროთ,“ — აცხადებს სამხედრო ექსპერტი For.ge-სთან საუბარში.

მანანა ნოზაძე

◎ სატირალია და არა სასაცილო

ხე-ტყის უკანონო ჭრებს „ნაცების“ საფარქვეშ მყოფი კომპანიები ახორციელებდნენ

შპს „ვუდექსპორტი“, შპს „ტაო“ და შპს „woodimpex“ ტყიბულში, ჭიათურასა და სამცხე-ჯავახეთში ხე-ტყეს უკანონოდ ჭრიდნენ, რის შედეგადაც სახელმწიფოს დაახლოებით ნახევარი მლნ ლარის ზიანი მიადგა. For.ge-ს ინფორმაციით, ამ კომპანიების უკან წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები დგანან.

კერძოდ, „ვუდექსპორტი“ დასაქმების ყოფილ მინისტრს პაატა ტრაპაიძეს ეკუთვნის, „woodimpex“ — თემურ უგულავას, რომლის ბიზნესპარტნიორები — გია გეწაძე (იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც საზოგადოებას ბოთლში კალმის ჩადებით დაამახსოვრდა) და დეპუტატი პაატა ლეჟავა არიან. ხოლო, „ტაოს“ მფლობელი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბიძა ლევან თუმანიშვილია, რომელიც ტყით სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის, ასევე, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე 14 დეკემბერს დაპატიმრეს. თუმცა, მოგვიანებით, ახალციხის რაიონულმა მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ის გირაოს სახით, 50 000 ლარის ნაცვლად გაათავისუფლეს.

მართალია, საქართველოში ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით, საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ როგორც ირკვევა, ამ კომპანიებს ლობისტები მთავრობაში ჰყავდათ და მათი საქმიანობის შესწავლა მხოლოდ ახალი ხელისუფლების პირობებში დაიწყო. 29 ნოემბერს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, „ბუნებრივი რესურსების სააგენტომ“ „woodimpex“-სა და სატყეო დეპარტამენტს შორის 2009 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება შეისწავლა, რომელიც წინა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე დამტკიცდა. ეს კომპანია ხე-ტყეს ტყიბულში ჭრიდა და ხელშეკრულება 15-წლიანი ვადით, სანიტარიული ჭრების მიზნით, აქვს გაფორმებული. სააგენტოს შემოწმებით კი დადგინდა, რომ ამ კომპანიამ უნებართვოდ მოჭრა — 329 ძირი სხვადასხვა ჯიშისა და დიამეტრის ხე, რომელთა საერთო მოცულობა — 257, 5 მ3-ია, უკანონო ჭრებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა — 77 657, 48 ლარი შეადგინა, ხოლო გაუწმენდაობით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა — 116 247, 19 ლარი.

ამას გარდა, სააგენტომ დაადგინა, რომ დღეის მდგომარეობით, შპს „woodimpex“ ათვისებული აქვს მონიშნული ტყეკაფების 16 პროცენტი, ძირითადად მოჭრილია და გამოზიდულია მსხვილი დიამეტრის ხეები, რომლიდანაც ამოღებულია მხოლოდ სამასალე მერქანი, აგრეთვე სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე „woodimpex“-ს სანერგე მეურნეობის მოწყობა და ტყის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება ევალებოდა, რაც ამ დროისთვის არ არის შესრულებული.

რაც შეეხება „ტაოსა“ და „ვუდექსპორტის“ მიერ გაწეულ საქმიანობას, „ბუნებრივი რესურსების სააგენტომ“ მათი მუშაობა მოქალაქეთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე შეისწავლა და ირკვევა, რომ „ტაოს“ (მას ხე-ტყის ჭრის ლიცენზია სამცხე-ჯავახეთში ჰქონდა) მიერ უკანონოდ 1048მ3 ჭრები მოხდა და გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა — 124 092 ლარი შეადგინა. ხოლო, ტყეკაფების წესების დარღვევით გამოყოფის შედეგად, გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა — 4 162, 5 ლარი შეადგინა. რაც შეეხება „ვუდექსპორტს“, რომელსაც მერქნის მოპოვებისთვის 5-წლიანი ლიცენზია აქვს, სააგენტოს მიერ დგინდება, რომ პაატა ტრაპაიძის კომპანიის მიერ უკანონო ჭრები — 67, 23 მ3 განხორციელდა და გარემოზე მიყენებული ზიანი — 29 965, 92 ლარია. ამას გარდა, სააგენტოს მიერ ჩატარებული სამუშაოებით ირკვევა, რომ კომპანიის მიერ ტყეკაფების წესების დარღვევით გამოყოფის შედეგად, გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა — 31 887 ლარი შეადგინა, ასევე სხვა ქმედებით ზიანმა — 570, 24 ლარი შეადგინა.

ზემოთ აღნიშნულზე კანონმდებელი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს გოგა ხაჩიძეს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს აკაკი ბობოხიძესა და ტყიბულის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს პავლე კუბლაშვილს აკისრებს.

მართალია, ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით, უმცირესობის წარმომადგენლებს ეღიმებათ, მაგრამ სატირალია და არა სასაცილო ის, რომ „ნაციონალურმა“ მთავრობამ „ტყე შვილებს ვერ შეუნახა“. ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებულ საკითხებს კი, სამართალდამცავი უწყებები დააზუსტებენ, რადგან „woodimpex“-ის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაშია გადაგზავნილი. ხოლო ლევან თუმანიშვილის საქმე არსებითად 2013 წლის 11 თებერვალს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე განიხილება.

თეონა მანაგაძე

◎ ინფორმაცია

უკრაინაში შესაძლოა, რუსული ენის სტატუსი გაუქმდეს

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე ვლადიმერ რიბაკი რუსული ენის სტატუსის სერიოზული შესწავლის აუცილებლობაზე საუბრობს, — ამის შესახებ სააგენტო „იტარ-ტასი“ უმაღლესი რადას პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

— კონსტიტუციის თანახმად, ერთადერთი სახელმწიფო ენა უკრაინულია. მოდით, შევასრულოთ კონსტიტუცია. რუსული ნაციონალური უმცირესობების ენა არ არის, თუმცა რუსულად მოსახლეობის ნახევარზე მეტი საუბრობს. აუცილებელია, ეს პრობლემა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა და მეცნიერებმა განიხილონ. უთანხმოების შემთხვევაში კი, ეს საკითხი რეფერენდუმზე უნდა გავიდეს. რუსულ ენასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოსაზრებაც უნდა მოვისმინოთ, ცვლილებას კონსტიტუციაში კი უმაღლესი რადა შეიტანს, — აღნიშნა სპიკერმა.

2012 წლის 10 აგვისტოს უკრაინაში ძალაში შევიდა კანონი „სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის შესახებ“, რომლის თანახმად, რუსული ენა მიიღებს რეგიონალურის სტატუსს იქ, სადაც იგი მშობლიურია სულ მცირე, მოსახლეობის 10%-ისთვის ქვეყნის 27-დან 13 ოლქში. კანონს უკრაინაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სხვადასხვა გამოკითხვით, რუსული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას მოქალაქეების 40% ემხრობა, 51% კი — წინააღმდეგია.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თვითნებობა

უსამართლო ავტორიზაცია, ქართული ენის კათედრის გაუქმება და განათლების სისტემის ფულის საჭრელ მანქანად გადაქცევა

საქართველოში 2010 წლიდან მოქმედებს კანონი „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. ეს დებულება სამივე — ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი სფეროს სტანდარტიზაციას ახდენს. თუ საგანმანათლებლო დაწესებულება დებულების სტანდარტებს აკმაყოფილებს, მას სფეროში მონაწილეობის უფლება ენიჭება. ეს მოთხოვნებია: მატერიალური რესურსი (შენობა-ნაგებობა, ინვენტარი), ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესორ-მასწავლებლები), აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც ლიცენზიის მოპოვების შემდეგ დაწესებულება განახორციელებს.

როდესაც დაწესებულება ჩათვლის, რომ მზადაა ავტორიზაციისათვის, განაცხადი შეაქვს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში, სადაც ინიშნება ექსპერტთა ჯგუფი და სწავლობს არსებულ მდგომარეობას, დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ცენტრი ადგენს, მიეცეს თუ არა დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება.

სპეციალისტთა განმარტებით, როგორც ბევრ სხვა დარგში, განათლების სისტემაშიც ამ კუთხით გადაწყვეტილებები შერჩევით მიიღებოდა. ამისთვის ნაციონალებმა ყველა პირობა შექმნეს — ბუნდოვანი საკანონმდებლო ნორმები და მათ მიერვე მართვადი ავტორიზაციის საბჭო (ცენტრი).

„დამოუკიდებელი ევრაზიის სასწავლო უნივერსიტეტმა“ 2012 წელს ავტორიზაციის მოსაპოვებლად განაცხადი გააკეთა. გამოიყო ექსპერტთა ჯგუფი ვითარების ადგილზე შესასწავლად. ჯგუფის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ჩართული იყო ექსპერტი თეა ნადირაძეც. მისი გადმოცემით ახლად შექმნილი უნივერსიტეტი დებულების ბევრ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. ეს დასკვნა ჩაბარდა ცენტრს, მაგრამ ექსპერტის განმარტებით იგი უარყოფით პასუხს მაინც არ ელოდა, რადგან ამ ცენტრში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სტანდარტთან მცირეოდენი შეუსაბამობის გამო ზოგისთვის ლიცენზიის გაცემაზე უთქვამთ უარი, ზოგზე კი მრავალი მოთხოვნის არადამაკმაყოფილებელ შეფასებაზე დაუხუჭავთ თვალი, მიუციათ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2012 წლის 12 ივლისს განათლების მაშინდელი, ახალდანიშნული მინისტრის ხატია დეკანოიძის ბრძანებით ევრაზიის უნივერსიტეტის საქმე დადებითად გადაწყდა. ნადირაძე აპროტესტებდა საკითხს, როგორც გადაწყვეტილების მიღებამდე, ასევე მის შემდგომაც. მაგრამ მას აუხსნეს, რომ სასწავლო დაწესებულებების რეგისტრაციაში გატარებით დაინტერესებული იყვნენ ხელისუფლების მაღალი ეშელონები. თვით განათლების და შემდგომ თავდაცვის მინისტრის შაშკინის მონაწილეობით. სწორედ მისი მინისტრობის პერიოდში გამოიტანა საბჭომ (მიუხედავად უამრავი ხარვეზისა) დადებითი პასუხი, რომელსაც ახალდანიშნულმა დეკანოიძემ მხოლოდ მიწოდებული მასალებიდან გამომდინარე მოაწერა ხელი. ამასობაში გაირკვა, რომ სასწავლებლის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ქადაგიძის ძმაა, რაც სამეწარმეო რეესტრის ამონაწერითაც ზუსტდება.

ე. ი. რა გამოდის? — ასკვნის ექსპერტი, — სახელმწიფო უარს ამბობს საგანმანათლებლო სივრცის განვითარებაზე, დადგენილ სტანდარტებთან მიახლოებაზე, აკანონებს უკანონობას. ავტორიზაციაგავლილებს აღარ სჭირდებათ ზრუნვა ხარისხის ამაღლებაზე, თავს არ იწუხებენ უკეთესობისაკენ შეცვლისათვის, რადგანაც მათ ეს სტატუსი გავლენიანი ძალების მხარდაჭერით და დამსახურებით აქვთ მოპოვებული. ნადირაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო პასუხი გასცეს განათლების სამინისტროში წინა ხელისუფლებიდან შემორჩენილმა თანამშრომლებმა: რა, გინდათ, რომ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო ჯავახიშვილისა და ტექნიკური უნივერსიტეტებიც დავხუროთო?

ექსპერტმა დამოუკიდებელი ევრაზიის სასწავლო უნივერსიტეტის“ შესახებ ხმა განათლების დღევანდელ მინისტრ გიორგი მარგველაშვილამდეც მიაწვდინა. თუმცა, ნადირაძის თქმით, ეს მისთვის წინა ხელისუფლების გადმონაშთიდან გამომდინარე არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ექსპერტი მინისტრს ატყობინებს, თუ როგორ გადიან წარმატებით პროგრამულ ატესტაციას უსამართლოდ ავტორიზაციამინიჭებული უმაღლესი სასწავლებლები.

„სხვაგვარად მოაზროვნეთა“ გამო უნივერსიტეტში ქართული ენის დეპარტამენტი გააუქმეს

2011 წლის 9 ივნისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენის დეპარტამენტის სრული პროფესორი, მრავალ კონკურსგამოვლილი პედაგოგი ნანა მიქაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. მისი აზრით, ეს ზომები პროფესორის მიერ ტელე თუ საგაზეთო ინტერვიუების შედეგი იყო. მიქაძე ხშირად აკრიტიკებდა ხელისუფლების პოლიტიკას განათლების სფეროში. პროფესორის ეჭვი უნივერსიტეტის რექტორმა მასთან პირად შეხვედრაში რეალობად აქცია — ზევიდან მაძალებდნენ თქვენს განთავისუფლებასო, განუცხადა გიორგი ღავთაძემ მიქაძეს (თუ ვინ იყო ეს „ზევით“, რექტორს არ დაუკონკრეტებია).

მიქაძის გარდა „ნაცების“ საგანმანათლებლო პოლიტიკას აკრიტიკებდნენ მისი კოლეგებიც. ამის გამო ხელმძღვანელობამ, „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ საუნივერსიტეტო საქმიანობიდან ჩამოსაშორებლად, ჯერ ქართული ენის დეპარტამენტი გააუქმა (დღესაც არ არის აღდგენილი), შემდეგ კი, პროფესორის თამადობით, თანამშრომლებიც სამსახურებიდან დაითხოვა.

რექტორის ამგვარ ქმედებას ბევრი სპეციალისტი ღავთაძის მიერ სკამის ჩაჭიდებისა და უნივერსიტეტის, საერთოდ ქართული ენის წინააღმდეგ გადადგმულ არაპოპულარულ ნაბიჯად აღიქვამს. როგორ შეიძლება საქართველოში ქართული ენის დეპარტამენტი ცალკე არ არსებობდეს და ის სხვა დეპარტამენტს მიუერთდეს, მით უმეტეს, რომ ქართული ენა ყველა სპეციალობაზე ისწავლება? — ამბობენ ამ დარგში ჩახედულნი.

მიქაძემ თავისი უკანონო შევიწროების გამო სასამართლოს სამივე ინსტანციას მიმართა. ყველგან წააგო. იგი ასეთ შედეგს ნაციონალური მთავრობის ხელში ელოდა კიდეც. მას უბრალოდ უნდოდა ევროსასამართლოების მოთხოვნებიდან გამომდინარე ყველა ინსტანცია მოევლო. საჩივარი სტრასბურგში გაგზავნა. პასუხიც დადებითია — მისი სარჩელი წარმოებაშია აღებული.

პროფესორის თქმით, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლების განათლების მინისტრმა რექტორებსა და დირექტორებს მოუწოდა პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები სამსახურებში აღედგინათ, მეორე დღესვე ესტუმრა მას რექტორი გიორგი ღავთაძე — სად გვყავს თქვენნაირი სპეციალისტებიო და სამსახურში აღდგენა-დაბრუნება შესთავაზა.

ღავთაძე, დადგა რა ახალი რეალობის წინაშე, იხტიბარს მაინც არ იტეხს და აცხადებს, რომ მიქაძის როგორც სამსახურიდან მოხსნა, ისე შესაძლო დაბრუნება, უნივერსიტეტში სტრუქტურულ რეორგანიზაციას უკავშირდება და არა პოლიტიკურსო.

ზაზა ბილიხოძე

◎ აკადემია

ბევრნი ერთ დარბაზში, ორი მინისტრის ჩათვლით...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს იმდღევანდელმა სხდომამ — ბოლომ 2012 წელს — მრავალ დამსწრეს მოუყარა თავი, იმათ რიცხვში — სამხედროებსაც. მუნდირიანთა ბლომად ყოფნა იმან განაპირობა, რომ დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო „სამხედრო მეცნიერება და საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების პრობლემები“.

ამ პრობლემატიკას მიეძღვნა კოსმოსური მექანიკის თვალსაჩინო ქართველი სპეციალისტის, ეროვნული აკადემიის წევრის („შეთავსებით“, გენერალმაიორის) ელგუჯა მეძმარიაშვილის ფრიად საგულისყურო, ეკრანიზებული მოხსენება (გავიხსენებ, რომ მან ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში მიიპყრო, მახვილგონივრული ინჟინრული მიგნებებით, საყოველთაო ყურადღება, კერძოდ, ჩვენი გაზეთისაც).

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ბატონი ელგუჯას გამოსვლა უთუოდ იმსახურებს ცალკე პუბლიკაციას და ვიმედოვნებ, მომეცემა შესაბამისი შესაძლებლობა, ამ წერილით კი ერთი მცირე რამ „ჩანახატის“ შემოთავაზება მინდა.

შეკრების წამყვანს, აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ერთ მხარეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ეჯდა, მეორე მხარეს — თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. ამგვარმა ორმაგმა სტუმრობამ, რასაკვირველია, კიდევ მეტი წონა შესძინა სხდომას, რაც გასაგები კმაყოფილებით აღნიშნა კიდევაც ბატონმა თამაზმა (აქვე სათქმელად, ბატონი გიორგი უკვე მეორედ სტუმრობს აკადემიას, ადრე კი ბატონი ფინანსთა მინისტრიც ბრძანდებოდა). „გასაგები“ იმიტომ, რომ ბოლო ხანებში, — როგორც წინანაცურში, ისე ნაცურში, სამინისტროების ბოსები საკმაოდ ხშირად იცვლებოდნენ და აკადემიაში მისვლას „ვერ ასწრებდნენ“ (ან არ კადრულობდნენ); როგორც არცერთხელ არ იკადრა ჩვენს სახელოვან სწავლულებთან შეხვედრა ხელისუფლების უმაღლესმა (და უგრძესმა) პირმა (ეგებ სულაც მას ბაძავდნენ „ხოშქვეიტები“...). ამჟამად მდგომარეობა ამ მხრივაც არსებითად შეიცვალა და მალე, ალბათ, პრემიერ-მინისტრსაც უნდა ველოდეთ ქართული მეცნიერების შტაბში; მით უფრო, რომ ბატონი ბიძინას უხმაურო, უანგარო და დაუყვედრებელი სიკეთის თაობაზე აქ კარგად ახსოვთ...

ოღონდ დროა, დაპირებული „ჩანახატი“ გამოვამზეურო: როცა პროფესორ ელგუჯა მეძმარიაშვილის მოხსენების განხილვა მიდიოდა, სიტყვა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ ითხოვა, ჩვენმა ცნობილმა ბიოქიმიკოსმა თავდაცვის მინისტრს საჯარო ფორმირებების კვების რაციონის გასაუმჯობესებლად ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების დამატების გეგმა უხსენა. მინისტრმა ცხოველი ყურადღებით მოუსმინა და წინადადების მსვლელობა აღუთქვა.

— აგერ ახლავე გადმოგცემთო, — უთხრა ბატონმა გიორგიმ და მისვლა დააპირა...

— როგორ გეკადრებათ, მე მოვალ თქვენთან და გამოგართმევთო, — მიაგება ახალგაზრდა კაცმა.

თითქოს რა მოხდა, მაგრამ „დიდკაცთაგან“ რომ არა ვართ მიჩვეული მსგავს ჟესტებს!.. მე დავიჭირე, თუ როგორ გადახედეს ერთმანეთს დამსწრეებმა... მოგვიანებით აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე მეტყვის პირად საუბარში — რამდენ მინისტრს დავლაპარაკებივარ და არავისგან არ მახსოვს ასეთი რეაგირებაო...

თამაზ ეგანოიძე

◎ ინფორმაცია

ვლადიმერ პუტინმა ჟერარ დეპარდიეს რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა

კრემლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ფრანგი მსახიობისთვის მოქალაქეობის მინიჭების განკარგულებას ხელი რუსეთის პრეზიდენტმა უკვე მოაწერა.

დეკემბრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ჟერარ დეპარდიემ, რომელიც ნიკოლა სარკოზის მომხრე იყო, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა ოლანდის გამარჯვებისა და მის მიერ საგადასახადო რეფორმის გატარების გამო ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა.

დეპარდიე ფრანგულ პასპორტზე უარის თქმას და ბელგიის მოქალაქეობის მიღებას აპირებდა. მოგვიანებით მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დეპარდიეს რუსული პასპორტის მიღება სურდა. თუმცა, რუსული სააგენტოების ცნობით, მიგრაციის ფედერალურ სამსახურში ფრანგი მსახიობისგან თავშესაფრის ან მოქალაქეობის მინიჭების თხოვნა არ შესულა.

თურქეთში ქვეყნის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი დააკავეს

თურქეთში ქვეყნის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი დაკავეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, გენერალ ისმაილ ჰაკი-კარაიდის ბრალი ედება 1997 წელს მომხდარ პრო-ისლამისტური მთავრობის გადატრიალებაში. 1997 წელს ქვეყნის სამხედრო დაჯგუფებამ კარაიდაის ხელმძღვანელობით, ქვეყნის ხელისუფლება დაამხო ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნეკმეტინ ერბაკანის ხელმძღვანელობით. რამდენიმე თვის წინათ, თურქეთის სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სამ გენერალს, რომლებსაც ბრალი დასდეს გადატრიალებაში მონაწილეობაში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უნიკალურ გამარჯვებას უთუოდ განმტკიცება სჭირდება

2012 წლის დასაწყისში ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ დამდეგი წელი ესოდენ წარმატებული იქნებოდა მაშინდელი ოპოზიციისთვის და, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. მართალია, პოლიტიკურ არენაზე ბრძოლის გაჩაღების მსურველი ბიძინა ივანიშვილი უკვე დგამდა პირველ ოპოზიციურ ნაბიჯს, მაგრამ ცოტას თუ სჯეროდა ამ ნაბიჯის წარმატებით დასრულების.

ცხადია, იყო ფართო საზოგადოების მხრიდან ნდობაც, რის საფუძვლად მილიარდერის მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო საქმიანობას მოიხსენიებდნენ, მაგრამ იყო ხელისუფლების უძლეველობის ფაქტორიც – განმტკიცებული დასავლელთა მხრიდან.

პოლიტიკური ჭიდილი, უფრო სწორად, ომი წესების გარეშე, წლის დასაწყისიდანვე დაიწყო და 10 თვის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. ივანიშვილმა შეძლო ის, რაც ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ვერ მოახერხა – გააერთიანა რა პოლიტიკური პარტიები კოალიციაში, მან შეძლო ქვეყნის ელექტორატის დიდი ნაწილის კოალიციისადმი დადებითად განწყობა, რაც საწინდარი გახდა პირველი ოქტომბრის გამარჯვების. ივანიშვილმა შეძლო ძლიერი, მზაკვარი, სახიფათო მოწინააღმდეგის ბეჭებზე დადება.

მას შემდეგ სამი თვე გავიდა – მოლოდინებით აღსავსე და ოცნებათა ასრულების დასაწყისის სამი თვე. ცხოვრებამ სხვა დინამიზმი, მანამდე ჩამქრალი, შეიძინა. საზოგადოებამ იგრძნო, რომ მას რაღაც შეუძლია – თუნდაც ის, რომ უშიშრად ჩაუშვას ბიულეტენი ყუთში. საზოგადოებამ თავი დაარწმუნა უსტიმულატორო გამარჯვებაში. არადა, ივანიშვილის მასტიმულირებელი ფაქტორის გარეშე წარმატება საეჭვო იქნებოდა.

გამარჯვების ეიფორიაში მყოფ ხალხს ჯერაც ვერ გაუაზრებია, რა მოხდა პირველ ოქტომბერს. გაივლის დრო და თუნდაც ზედაპირული ანალიზით დარწმუნდება, რომ 2012 წლის მოვლენა უდიდესი მნიშვნელობისაა ერის ისტორიაში, რომ ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საბჭოთა სისტემიდან დამოუკიდებლობაზე გადასვლა, ვინაიდან საბჭოთა სისტემა არ დამუქრებია ერს განადგურებით.

პირველმა ოქტომბერმა შეაჩერა (ჯერჯერობით მხოლოდ შეაჩერა) ცხრა წლის წინათ, ნაცთა მიერ დაწყებული ერის დაკნინების გეგმა – ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის სისტემების, მეცნიერების, დემოგრაფიული პროცესის განადგურების სახით.

ცხრა წლის განმავლობაში მუდმივი შიშის ქვეშ მცხოვრებმა ხალხმა თავისუფლების ჰაერი ჩაისუნთქა. მსგავსი შეგრძნება მას საბჭოეთის დაშლის დროსაც არ ჰქონია. ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ დამოუკიდებლობის წლებში იგრძნო ერმა საკუთარი დაბეჩავების საფრთხე, საკუთარი მეორეხარისხოვნობა, საკუთარ ქვეყანაში უცხოელთა პრიორიტეტულობა, საკუთარი ენის მიწასთან გასწორება და ინგლისურის ლამის მშობლიურად გამოცხადება, საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ უძღებ შვილთა და გადამთიელთა მხრიდან ბატონყმური დამოკიდებულება.

პირველი ოქტომბერი არ არის რიგითი გამარჯვება, ისეთი, ევროპის ქვეყნებში, ოპოზიცია რომ სისტემატურად იმკის. პირველი ოქტომბერი არც დემოკრატიის იმ საზომით იზომება, დასავლეთი რომ ზომავს. პირველი ოქტომბერი ერის გადარჩენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო გაბრძოლებაა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე დასავლელთა მიერ შეფასებული „დემოკრატიული არჩევნები“.

პირველი ოქტომბერი უსისხლო საარჩევნო რევოლუციადაც შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მან შეძლო ხალხის საძულველი მმართველობის ჩამოშორება, თუმცა, სრულ ჩამოშორებამდე გასაკეთებელი ბევრია.

და რახან ხალხის მიერ განხორციელებული მოქმედება რევოლუციურის სადარია, ხალხიც ითხოვს ყოფილთა მიმართ სწრაფ სადამსჯელო მოქმედებას. ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი უკუღმართობის უმალ გამოსწორებას, კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, ახალი ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას, ანუ ყოველივე იმას, რისი გაკეთებაც გაცილებით იოლი იქნებოდა ნამდვილი რევოლუციის შემთხვევაში.

მაგრამ ნამდვილი რევოლუცია არ მომხდარა. ის, რაც მოხდა, ჩანაცვლებაა ძველისა ახლით, რაც არ იძლევა სწრაფი ქმედების, მითუმეტეს ყველა დამნაშავის დასჯის შანსს. არადა, გამარჯვებულ ხალხს სწორედაც „სამართლის მიერ პურის ჭამის“ სურვილი აქვს. შეძლებს ხელისუფლება საზოგადოების შეკვეთის შესრულებას? ეს ძნელი გამოსაცნობია, ვინაიდან ახლებშიც უხვად არიან ე.წ. ლიბერალები, ნაცებთან „ნაღვაწნი“, ათასი ჯურის „პოლიტიკოსნი“, საზოგადოზე მაღლა საკუთრის დამყენებელნი. ისე, როგორც ძველებში, ახლებშიც ჭარბობს დაბალი პროფესიონალიზმი, ისტორიული დაავადება – „ეს იმის შვილია“, ნათესაობა.

ახლებში არც დაუფიქრებელი ზეპირაზროვნებაა უცხო. პოლიტიკაში პირიდან ამოსული სიტყვა, მითუმეტეს წინადადება – არასწორად დაწყობილი, არასასიამოვნო მსჯელობის საგნად იქცევა, რასაც ქვეყნებს შორის მინიმუმ უკმაყოფილება შეიძლება მოჰყვეს. **„რომელიღაც ეტაპზე ეს პროცესი შეიძლება არ იყოს ჩვენთვის ხელსაყრელი და მას მოწესრიგება სჭირდება... შესაძლებელია საკითხები ამ თემაზე დავსვა აზერბაიჯანში ვიზიტის დროს“,** – განაცხადა ივანიშვილმა ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

არავინ უწყის, როგორ ილაპარაკეს ამ თემაზე ივანიშვილალიევმა, ან იყო თუ არა ივანიშვილი ისეთი კატეგორიული, როგორიც ბაქოში გამგზავრებამდე. ვერც გაზის ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით მივიღეთ ნათელი პასუხი, გარდა იმისა, რომ თურმე – აზერბაიჯანი მსოფლიო ფასებზე გაცილებით დაბალ ფასებში გვაწვდის გაზს. ერთი რამ, რაც ითქვა, ის არის, რომ გაზზე ფასების შესამცირებლად ქვეყნის შიგნით უნდა გამოიძებნოს რესურსები.

ღირდა ამ მარტივი ჭეშმარიტების დასადგენად ერთობ სოლიდური დელეგაციით აზერბაიჯანს სტუმრობა? როგორც ჩანს, ძველივით, ახალსაც „ნაყვარება“ მრავალრიცხოვანი დელეგაციით ვოიაჟი, შემდეგ, ვიზიტის ისტორიულად „გაფორმება“. „ასეთი დახვედრა, ასეთ მაღალ დონეზე არასდროს მინახავსო“, – ბრძანა ქალბატონმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისი მიხედვით, ვიზიტის მთავარი „მარილი“ პროტოკოლში ყოფილა. შედეგი?

როგორც იქნა, მთავრობა, დიდი ჭმუნვის შემდეგ, მიხვდა, რომ ენერგოშემცველებზე ფასების შემცირება მხოლოდ მასზე და არა სხვაზეა დამოკიდებული. მან რაღაც უნდა მოიკლოს, დიახ, უნდა მოიკლოს და წინასაარჩევნო დაპირება უნდა შეასრულოს. შეუსრულებლობას უდავოდ მოჰყვება უკმაყოფილება, ისეთი, როგორსაც ერთი ქალბატონი ბრძანებდა ერთერთ რადიოეთერში – **„დაპირებას თუ არ შეასრულებს, ქუჩაში გამოვალთო“. გამოვლენ! შიშგადალახული ხალხისთვის რა პრობლემაა ქუჩაში გამოსვლა?!**

რკინის გული და გამბედაობა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას თავის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის მოგვარებისთვის, ნაცთა მიერ ჩაოხრებული საქმის გამოსწორებისთვის. ბარიერი მაღალია, ჭირს მისი სწრაფი დაძლევა, თან ნახევარ-ხელისუფლებიანობაც თავისებური წინაღობაა.

„ქართველთა დიდი პრობლემაა ის, რომ მათ არ შეუძლიათ გაიყონ ხელისუფლება და წავიდნენ კომპრომისზე. ის, ვინც უფრო ძლიერია, ღებულობს ყველაფერს, როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესში“, – წერს თბილისში მომუშავე ფრანგი მეწარმე ლუდოვიკ ჟირო.

ამ სიტყვების ავტორი დასავლურად უდგება ქართულ რეალობას, მაგრამ საქართველო დასავლეთი არ არის. ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ „ევროატლანტიკური“ სიტყვის ხშირი ხმარება გადააქცევს ლამის ფეოდალურ ქვეყანას საფრანგეთად? **ისე, კაცმა რომ თქვას, ფრანგები რომ ყოფილიყვნენ საფრანგეთის მოქალაქე ივანიშვილის ადგილას, სხვაგვარად მოიქცეოდნენ?, თავზე ხელს გადაუსვამდნენ კორუმპირებულ, დამნაშავე გუშინდელებს? საფრანგეთის გუშინდელი პრეზიდენტის, სარკოზის მრავალსაათიანი დაკითხვა ხომ საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს?**

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ივანიშვილსა და მის კოალიციას არჩევნებში გამარჯვებაზე მეტად, გამარჯვების შემდგომ პერიოდში უჭირს. ძნელია, როდესაც სრულ ძალაუფლებას არ ფლობ. ძნელია, როდესაც ჩასაფრებული მოწინააღმდეგენი მისხალ-მისხალ გიზომავენ საქმეს. ძნელია, როდესაც დამნაშავე გუშინდელები ნიშნის მოგებით აცხადებენ - ხომ ხედავთ, რა მართლები ვყოფილვართო.

რა გაეწყობა, ასეთია დემოკრატიული არჩევნები. მაგრამ დემოკრატიული არჩევნები დემოკრატიულ, ნაკლებად კორუმპირებულ, კანონისადმი მორჩილ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რისგანაც საქართველო ისე შორს არის, როგორც მარსი დედამიწიდან. ევროპული დემოკრატიული არჩევნები შესაბამის დემოკრატიულ გარემოში ტარდება, არა ისეთში, როგორიც საქართველოშია.

გასულ წელს ზოგიერთი პოლიტიკოსი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ცვლა საყოველთაო დაუმორჩილებლობით, მასშტაბური გამოსვლებით, ლამის რევოლუციით უნდა მომხდარიყო. მაშინ მათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ არჩევნებით ხელისუფლების დამარცხება. აქედან გამომდინარე, ისინი ვერც იმას იფიქრებდნენ, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საჭირო გახდებოდა ახალი გამარჯვება ხელისუფლებაში შემორჩენილი გუშინდელების დასამარცხებლად.

არჩევნების შედეგით ნირწამხდარმა დასავლეთმა არა მარტო დემოკრატიულად მონათლა პირველი ოქტომბრის არჩევნები, არამედ საკუთარი „პროექტის – სააკაშვილის“ დასაცავად ლამის ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ახალ ხელისუფლებას. „მას შემდეგ, რაც ივანიშვილი მოვიდა ახალ ხელისუფლებაში, პრეზიდენტ სააკაშვილთან დაახლოებული მინისტრები, გუბერნატორები, დეპუტატები განიცდიან დევნას. მათ აპატიმრებენ, აშინებენ ფიზიკური ზემოქმედების ზომებით. თავად სააკაშვილზე, რომელსაც დიდ პატივს სცემენ ვაშინგტონში და ევროპაში, ზემოქმედებას ახდენენ იმისათვის, რომ გადადგეს“, – წერს „Le Temps“-სი და აღნიშნავს, რომ ეს არის შერჩევითი მართლმსაჯულება, დემოკრატიიდან გადახვევა, მოსკოვის ორბიტაზე დაბრუნება.

ამაზე უარესი რა დაიწერებოდა საყოველთაო დაუმორჩილებლობით ხელისუფლების დამხობის შემდეგ?

რა მაგნიტი აქვს ამ მოსკოვს 20 წლის გავლის შემდეგ, ესოდენ ძლიერად რომ იზიდავს საქართველოს?

პრაგმატულად მოაზროვნე ხელისუფლებისთვის, საკუთარი ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად, საკუთარი, რის ვაი-ვაგლახით მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასასაღებად, ქართული სოფლისთვის სტიმულის მისაცემად, ქართული ეკონომიკის ასაღორძინებლად სწორედ რომ რუსეთია საჭირო. ქართულ ეკონომიკას, ისე, როგორც პოლიტიკას რუსულ „ბაზარზე“ დაბრუნების არ უნდა ეშინოდეს, ისე, როგორც ამის არ ეშინიათ დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს. იმაზე მეტი რაღა უნდა ჩაგვყლაპოს რუსეთმა, რაც ჩვენ თვითონ არ ჩავეყლაპეთ?

ახალმა რუსეთმა ვერავინ ჩაყლაპა, ჩვენს გარდა. რომ არა ჩვენი ინიციატივა, ესეც არ იქნებოდა. რუსეთმა ვერც ის მოახერხა, რომ დსთ-ელებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინათ. რუსულ პოლიტიკურ არენაზე თამაში იოლი არ არის, მაგრამ ხომ ახერხებენ ამას დსთ-ს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკოსები? ქართველ პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა ლოგიკის მიხედვით გამოდის, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე სუსტი პოლიტიკოსები ჩვენ გვყოლია.

გასული წელი დასამახსოვრებელი იყო ევროატლანტიკური სივრცის მხრიდან ნაცთათვის უკიდეგანო მხარდაჭერით. არ გაუმართლდათ, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ – რაც მოხდა, დემოკრატიაც ეს არისო და ამ „დემოკრატიის“ მთავარ შემოქმედ სააკაშვილს ცხვირში გვტენინ, როგორც ვირს პიტნას – დაყნოსეთ და დატკბით სააკაშვილის „დემოკრატიული შემოქმედებითო“.

და კიდევ ერთი რამ – ყბადაღებული რუსული „ორბიტა“.

საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობის გონივრულ გამოყენებას. საქართველო ენერგოშემცველებით ან სხვა წიაღისეულით მდიდარი ქვეყანა არ არის. რაც მას აბადია – გზაჯვარედინია. გაუჭირდებოდა აზერბაიჯანს ენერგოპროექტების განხორციელება საქართველოს სატრანზიტო გზის გარეშე. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი ან დასამადლებელი აზერბაიჯანის მხრიდან ნაკლებ ფასად გაზის მოყიდვა, არც მშენებარე რკინიგზაა სამადლო.

გარდა ამისა, რატომ არის თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის რკინიგზა სასწაული და რატომ არ არის სასწაული რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აღდგენა? აფხაზეთთან შემაერთებელი მოკლე ზოლის აღდგენა გაცილებით იაფი დაჯდებოდა, ვიდრე ახლის მშენებლობა. ეს რკინიგზა საქართველოს და მასთან ერთად ამიერკავკასიას დააკავშირებდა რუსეთთან, უკრაინასთან, დსთ-ს სხვა წევრ სახელმწიფოებთან, ევროპასთან, გარდა ამისა – სამხრეთით – ირანთან, სპარსეთის ყურესთან. პერსპექტივა გაცილებით დიდია, ყოველ შემთხვევაში იმაზე ნაკლები არა, რაც მშენებარის შემთხვევაში.

მშენებარე რკინიგზის პროექტის განხორციელების დასაწყისში სააკაშვილმა ბრძანა – ქართველებს შანსი ეძლევათ ევროპაში მატარებლით ჩასვლისო. კეთილი, მაგრამ ეს შანსი ისედაც გვქონდა და ვიყენებდით საბჭოეთის დროს, როდესაც უნგეთის, ჩოპის, სხვა სასაზღვრო პუნქტების გავლით მივემგზავრებოდით ევროპაში. რამდენ ქართველ ტურისტს უმოგზაურია ამ გზით.

გარდა ამისა, რა ხანია არსებობს ირან-რუსეთ-ცენტრალური აზიის ე.წ. სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო ხაზი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტვირთებს, სპარსეთის ყურისა და ირან-რუსეთის გავლით ეზიდება ევროპაში.

რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აღდგენა უპირველესი ამოცანა უნდა იყოს საქართველოს ხელისუფალთათვის, ისე, როგორც სამხრეთ რკინიგზის ამოქმედება. ცხადია, დასავლეთი, კერძოდ, აშშ-ი აღნიშნული გეგმის განხორციელების კატეგორიული წინააღმდეგი იქნება, მაგრამ, როდესაც მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, გულისწყრომა პოლიტიკური დიალოგით უნდა მოილბოს.

გასული წელი ევროატლანტიკურ კურსზე გაუთავებელი ლაპარაკის წლადაც შეიძლება ჩაითვალოს – ერთობ შემაწუხებლის საქართველოს მოსახლეობისთვის. როგორც ჩანს, არც წელს ვიქნებით დაზღვეული ამდაგვარი ლაყბობისგან. ლაყბობა ჰქვია თითქმის ოცწლიან გაუთავებელ და უშედეგო ქაქანს. ბრიუსელი არც შიგნით გვიშვებს და არც უარს გვეუბნება იმის შიშით – განაწყენებულებმა რუსეთის ორბიტას არ მივაშუროთ. არადა, ნატოში შესვლა, ნატოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია.

როგორც ჩანს აქ სხვაშია საქმე – აკვიატებულ იდეაში, ჩვენ ისეთი უნიკალურები ვართ, ნატოში შესვლას მაშინაც დავიჟინებთ, როდესაც ეს ორგანიზაცია აღარ იქნება. ჩვენ ისეთი „მაგრები“ ვართ, რომ ავღანეთიდან კოალიციური ჯარების გამოსვლის შემდეგაც, გავაგრძელებთ იქ ყოფნას – ტერორიზმისგან მსოფლიოს გადასარჩენად.

დადგა ახალი წელი – 2012 წლის პირველ ოქტომბერს მოპოვებული უნიკალური გამარჯვების განმტკიცების წელი. დიახ! განმტკიცების, რამეთუ მოპოვებულ გამარჯვებას უდავოდ ესაჭიროება განმტკიცება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩასაფრებული ნაცები ყველაფერს იღონებენ ვითარების სათავისოდ შესაცვლელად.

ჰამლეტ ჟიჟაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განათლება და მეცნიერება შველას ითხოვს

განვითარების ახალი გზაა მოსაძებნი

საყოველთაოდ ცნობილია ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი განათლების სისტემა, მეცნიერება და კულტურა აღმოჩნდა. გაუქმდა საშუალო სკოლა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. ბატონ შაშკინის განცხადება: „ჩვენ ვაფინანსებთ არა უნივერსიტეტს, არამედ სტუდენტს“, დღესაც მოქმედებს და განათლების აღორძინებაზე საუბარი ძალზე ძნელია.

სახელმწიფომ განიზრახა უმაღლესი სასწავლებლების „ვაუჩერებით“ დაფინანსება და ამით იმ გზას აგრძელებს, რაც განათლების განადგურების მიზეზი გახდა.

უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება მთავარი მიზეზია განათლების დონის დაცემისა. როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტების „კმაყოფაზეა“, ის მას ისე „უფრთხილდება“, რომ უსწავლელობასაც აპატიებს და გაუნათლებობასაც. ერთადერთი, რასაც უნივერსიტეტი სტუდენტს ვერ პატიობს, ეს სწავლის ფულის გადაუხდელობაა. ამ პირობებში შეუძლებელია ახალგაზრდების რაიმე პროფესიულ დონეზე მომზადებაზე საუბარი.

განათლების გადარჩენისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუნდაც ორიოდე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის არსებობა და რამდენიმე სახელმწიფო საშუალო სკოლის აღდგენა.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არსებული კანონით პრაქტიკულად გაუქმებულია ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი და არ არსებობს საშუალო სკოლა. საშუალო სკოლა შეცვალა „საჯარო სკოლამ“ უბადრუკი სასწავლო პროგრამებით და დაუშვებლად დაბალი დონის სახელმძღვანელოებით, რომლებიც მხოლოდ დაწყებითი განათლების დონეს შეესაბამება, მაქსიმუმ 8-კლასიანი განათლებით. სამწუხაროდ, 8-წლიანი სუსტი სასწავლო პროგრამა 12 წლამდეა გაჭიმული. ამ პროგრამის „დაძლევის“ შემდეგ ახალგაზრდას უფლება არა აქვს უცხოეთის ნორმალური დონის უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა, თუ მან იქ, თუნდაც იმ უნივერსიტეტთან არსებული დამატებით საშუალო სკოლის რომელიმე კოლეჯი არ დაამთავრა.

თავად ამერიკული ორგანიზაცია RTI-ის განცხადებით, მათ საქართველოში და კამბოჯაში ჩაატარეს განათლების „წარმატებული რეფორმა“ და ვხედავთ, რომ ჩვენი განათლების სისტემაც სწრაფად დავიდა აფრიკის განვითარებადი ქვეყნების განათლების დონეზე.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს, რომ ყველა „საჯარო სკოლა“ კვლავ „საშუალო სკოლა“ გახდეს (ეს არც არის საჭირო), მაგრამ აუცილებელია, რომ დიდ ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში აღსდგეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო საშუალო სკოლა შესაბამისი სასწავლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით. რაიონულ ცენტრებში საშუალო სკოლას შესაძლოა ინტერნეტის ფორმა მიეცეს. სწორედ ამ სკოლებში უნდა მოიყაროს თავი ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, სადაც სწავლება იქნება მკაცრი წესებით, მაღალი დონის ყოველწლიური გამოცდებით და მოსწავლეების განთესვით აკადემიური წარმატებების მიხედვით. ამის პარალელურად უნდა შეიქმნასა სხვადასხვა მიმართულების „სახელობო“ სასწავლებლები, სადაც 8-წლიანი „საჯარო სკოლის“ კურსდამთავრებულნი სწავლას გააგრძელებენ 3-4-წლიანი სასწავლო პროგრამებით და გარკვეულ პროფესიას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევძლოთ სახელმწიფო საშუალო სკოლებში ნიჭიერი ბავშვების მოვიზიდოთ, რათა მათ მივცეთ მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

დღეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელიც აღარ არსებობს, რადგან ყველა უნივერსიტეტი სტუდენტების გადასახადებით ფინანსდება (მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერების გზით, რომელიც მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 4 %-ს შეადგენს). ეს დაფინანსებაც იმდენად მწირია (30-60 მილიონი ლარის ფარგლებში), რომ მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია (საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიუჯეტი მილიარდ აშშ დოლარს აღემატება).

დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, რომ ყველა არსებულ უნივერსიტეტს შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდეს, მაგრამ უნდა გამოიყოს 3-4 უნივერსიტეტი, რომელიც მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავა. სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსება არ უნდა იყოს დამოკიდებული სტუდენტთა რაოდენობაზე. სტუდენტი არ იხდის გადასახადს, იღებს სტიპენდიას, მაგრამ აკადემიური წარუმატებლობის შემთხვევაში ტოვებს სახელმწიფო სასწავლებელს და ფასიან სასწავლებელში გადადის.

სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს მხოლოდ ის უნივერსიტეტები და სპეციალობები, რომლებიც ქვეყნისათვის საჭირო უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადებას უზრუნველყოფს ფუნდამენტური მეცნიერებების, საინჟინრო-ტექნოლოგიური, სამედიცინო და ხელოვნების დარგებში. ამდენად, უნდა აღსდგეს ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ხელოვნების სახელმწიფო აკადემია (კონსერვატორია, სამხატვრო, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტები). დასაშვებია ამ დარგის ფასიანი უნივერსიტეტების არსებობაც, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა განხორციელდეს უმაღლესი დონის სასწავლო პროგრამები მკაცრი სასესიო და სახელმწიფო გამოცდებით, რათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომები მხოლოდ ღირსეულმა, ნიჭიერმა კურსდამთავრებულმა მიიღოს. ფასიანი სექტორი ამ უნივერსიტეტებშიც უნდა დაიშვას ნაკლებად ნიჭიერი სტუდენტებისათვის გამარტივებული სასწავლო პროგრამებით.

ჩვენთან არსებობდა ნიჭიერ მუსიკოსთა ათწლედები და სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების არსებობას. სწორედ ამ ნიჭიერმა ბავშვებმა გაუთქვეს სახელი ჩვენს კონსერვატორიას. დღეს ეს მუსიკოსები მთელს მსოფლიოშია განფენილი და მათი წარმატებებითაც დიდად ვამაყობთ. თუმცა, ამჟამინდელ საქართველოში მათი დაბრუნება აზრს კარგავს. ასევე უაზროა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების აქ დაბრუნება, რადგან მათ აქ ნორმალური სამუშაო და ფინანსური პირობები არ დახვდებათ.

შეუძლებელია მეცნიერების (განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერების) განვითარება სრული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. სამეცნიერო გრანტების გაცემის სისტემამ ვერ გაამართლა, რადგან საზღვარგარეთ გადის ისეთი ღირებული ინფორმაციაც, რომელთა გასვლა დღევანდელი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში დაუშვებელია. თანაც, ასეთი პროექტები ძალზე იშვიათად ფინანსდება, თუმცა, საზღვარგარეთის ფირმები მათ თავიანთ სასარგებლოდ წარმატებით იყენებენ. უნდა შევიცნოთ, რომ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი დღითი დღე მცირდება, რადგან ნიჭიერი ახალგაზრდებით სამეცნიერო დაწესებულებების შევსება აღარ ხდება, ხოლო ნიჭიერი ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ აქ არსებულ სამუშაო პირობებზეა დამოკიდებული..

ცხადია, მაღალი დონის რამდენიმე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის არსებობა ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების საზღვარგარეთ გადინების შემცირებას. ვაუჩერებით სტუდენტი კი არა, ქვეყნისათვის საჭირო სპეციალობები უნდა დაფინანსდეს.

აუცილებელია ახალგაზრდების ობიექტური რანჟირება ატესტატებისა და დიპლომების ხარისხის მიხედვით. ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდის მოსწრება მთელი სასწავლო წლების განმავლობაში ობიექტურად აისახოს ატესტატისა და დიპლომის დანართში. არ შეიძლება დიპლომების უნიფიცირება. ყველა უმაღლეს სასწავლებელს თავისი რეიტინგი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო აკრედიტაციის შედეგებიდან გამომდინარე.

თვით სახელმწიფო ატესტაცია უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებს და არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ბაზას, არამედ კურსდამთავრებულთა წარმატებებსაც მათი შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე.

დღეს ჩვენი განათლების სისტემას აკლია მაღალი დონის მასწავლებლები და სახელმძღვანელოები. მართალია, მაღალი დონის მასწავლებელთა ნაკლებობას ევროპისა და ამერიკის მრავალი ქვეყანა განიცდის, მაგრამ ისინი ამ ნაკლს ნაწილობრივ მაღალი დონის სახელმძღვანელოებით ავსებენ. ჩვენთან კი არა, მარტო უმაღლესი სკოლა, არამედ საჯარო სკოლაც კი არაა უზრუნველყოფილი მაღალი დონის სახელმძღვანელოებით. ამიტომ, სტუდენტობა ძირითადად კონსპექტის ამარა რჩება.

სამწუხაროდ, დღეს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ფორმირდება არა აბიტურიენტის ცოდნის დონით, არამედ სასწავლებელში მისაღები სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. სასწავლებელში მისაღები კონტინგენტის რაოდენობა აბიტურიენტის ცოდნის დონეზე უნდა გადიოდეს. დღეს უნივერსიტეტები აბიტურიენტების ძებნაშია, რადგან საკუთარ ფინანსურ გადარჩენაზე ფიქრობს. ამასთანავე, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობის დონე იმდენად დაბალია, რომ საქართველოში უნივერსიტეტების არსებობას საერთოდ კითხვის ქვეშ დგება. ამრიგად, დღეს სკოლის უპირველესი ამოცანა სასწავლო პროცესის დახვეწა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაა. სწორედ ამიტომ უნდა დაარსდეს მაღალი დონის სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სკოლები.

ძალზე დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი მაღალი დონის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შესაქმნელად. ამ მძიმე ამოცანის შეასრულება უნდა შეძლოს ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ერთ დროს მაღალი ინტელექტუალური დონე და ქართული ნიჭი.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ გამოხმაურება

გააჩუმეთ!.. გაიყვანეთ!.. გაიტანეთ!..

ავლაბრეთში საახალწლოდ გაფრენამდე „ქვემდგომ ორგანიზატორებს“ სტუდენტები შეაყრევინა ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში (ასეთი რეზიდენცია კიდევ ხუთი თუ ექვსი „გააშენებინა“ თურმე) და კიდევ ერთი აფრენა „დაარეგისტრირა“ ამ შეხვედრაზე, რომელმაც მე პირადად ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა: ისევ ის დაულაგებელი ლაპარაკი, მსჯელობის ულოგიკობა, ისტერიული ხმის აწევები, შეუფერებელი ჟესტიკულაცია...

კარგი, ვიყო მიუხვედრელი, ტენდენციური და ჩასაფრებული — ამიხსნას სხვა ვინმემ, რა სტუდენტებთან განსახილველია ენერგეტიკის, ჰესების მშენებლობის, ამნისტიის „დავეტოების“, ეკონომიკა-ბიუჯეტის 11-ჯერ(!!) ზრდის, მუხროვანის აჯანყების პრობლემები თუ პერიპეტიები; რა ასეთ აუდიტორიასთან გასაკრიტიკებელ-გასალანძღია ახალი ხელისუფლება და იმის მეთაური, თუ ამდენი და ამგვარი არგუმენტაცია აქვს, რაც გადმოშალა, უშუალოდ იმ „საკრიტიკე-სალანძღავ ობიექტებს“ ვერ შეხვდება და ვერ გაარჩევს საქმეს?

მაინც, რა ნიშნით შეურჩიეს, ნეტავ, და მიჰგვარეს ამნაირი კონტინგენტი, კაი ხვითოებით რომ აღმოჩნდა შედგენილი: ყოველ „მოსწრებულ“ ნათქვამზე ღიმილი რომ გამოუფინეს ორატორს და შიგადაშიგ ტაშიც რომ არ დაამადლეს; კიდევ კარგი, „მიშა-მიშას“ აყვირების ინსტრუქტაჟი რომ არ ჰქონდათ მიღებული — მიშობანა, ეტყობა, განვლილი ეტაპია, უფრო ბავშვების კატეგორიასთან დაკავშირებული...

მიხეილ-ბატონო, ამგვარი განცხადებებით გამოსვლა თუ მოგეპრიანათ-მოგეხუშტურათ, უბრალოდ, აუდიტორიის „ჩაუწყობლად“, გადმომდგარიყავით ტელეეკრანიდან — რომელი არხი გეტყოდათ უარს, „რუსთავი-2“, „იმედი“, გინდ საზოგადოებრივი მაუწყებელი?.. ამდენი მრჩეველი ტყუილა გყავთ, ახლა კიდევ ორი „მარკიზა დე პომპადურის“ მიმატებით (ნინო კალანდაძე, ვერა ქობალია) — დაგვანახვეთ, ერთხელ მაინც, რომელიმეს გონივრული რჩევის შედეგი.

ბერდია გედოიძე.

P. S. ეგებ მართლაც მოდის კარგი ახალგაზრდობა, ოღონდ იმ „ავლაბრულ“ აუდიტორიას ეს, მგონი, არ ეთქმის...
ბ. ბ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩილაჩავას „შნო“ უშნოთა და უ...რაკოთათვის

„შნო“ რაულ ჩილაჩავას მეასე წიგნია — მშვენიერი ლექსებით გაძეძგილი, ბრწყინვალედ გამოცემული. დიდი წიგნია, ათასგვერდიანი. სათაური კი სულ პაწაწა ჰქვია, სამასოიანი. მაგრამ ეს სამასოიანი სათაური ძალიან დიდ ხმას გამოსცემს: შნო მაქვს და, დავწერეო. შნო მაქვს და, გამოვეციო. შნო გაქვთ და, წაიკითხეთო. შნო გაქვთ და, შეაფასეთო. შნო გაქვთ და, დააფასეთო!

თუ შნო გაქვთო!

წაკითხვისა რა მოგახსენოთ, შეფასებისა და დაფასებისა, — მით უმეტეს. ჩამოვა ხოლმე რამდენიმე წელიწადში ერთხელ საქართველოში რაული, გამართავს პატარა შეხვედრას თუ პოეზიის საღამოს, შეაქებენ, თავზე ხელს გადაუსვამენ ნიჭიერი ბავშვივით, მოსაფერებელი კაციაო, ეტყვიან, მშვენიერი მთარგმნელიაო, მშვენიერი გამომცემელი, მშვენიერი მეცნიერიო, მშვენიერი დიპლომატიო — ერთი ქვეყნის შვილს მეორე ქვეყანამ მესამე ქვეყანაში თავისი ელჩობა ანდოო, მაგარი მეგობრობა იცისო, მაგარი ოჯახი ჰყავსო... ზრდილობისთვის მის ერთ-ორ სტრიქონსაც წაიკითხავენ და ის კი არავის დასცდება, რომ რაულ ჩილაჩავა არავისზე ნაკლები პოეტია, თუ მეტი არა, რომ პოეზიის მისებრი კულტურა იშვიათია თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რომ იშვიათია ლექსის მისებრ დახვეწილი ტექნიკა. არც ერთი ქართველი პოეტი, თუნდაც საწყალი ორიოდე სტრიქონის ავტორი, არ აღიარებს, რაულ ჩილაჩავა ჩემზე მაგარი პოეტიაო.

ამასაც შნო უნდა.

მოსაფერებელი კაციაო, მშვენიერ ლექსებს თარგმნის მშვენივრადო, უკრაინულადაც კი წერს ლექსებსო — ისე თავშეკავებულად იმეტებენ მისთვის ქებას, თითქოს დამწყები ვინმე მელექსე იყოს და შიში ჰქონდეთ, ემანდ არ გაფუჭდეს, ცხვირი მაღლა არ ასწიოსო.

საქართველო ჯიუტად არ ამჩნევს თავის ერთ საუკეთესო შვილს, ერთ საუკეთესო პოეტს. ის კი მხოლოდ საქართველოს ემსახურება, სადაც არ უნდა იყოს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, სადაც არ უნდა მუშაობდეს, რა ენაზეც არ უნდა წერდეს.

ჯერ კიდევ სტუდენტი, იგი 45 წლის წინათ გააგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიევში უკრანული ენის შესასწავლად და უკრაინელ პოეტთა სათარგმნელად და მერე, როგორც რაული ამბობს, ერთხელაც არ მოიკითხა, დაავიწყდა. მან კი ამ ხნის მანძილზე, ისე კარგად შეასრულა უნივერსიტეტის მიერ მასზე დაკისრებული მისია, ისე კარგად შეისწავლა უკრაინული, რომ არათუ უკრაინელი პოეტები თარგმნა ქართულად, ქართული პოეზიის უკრაინულად თარგმნასაც მიჰყო ხელი. ესეც არ იკმარა და თავადაც დაწერა უკრაინულ ენაზე ლექსები, რომელთაგან ერთ-ერთი თანამედროვე უკრაინული პოეზიის ანთოლოგიებშია შეტანილი და უკრაინულ სკოლაშიც ისწავლება. არც ამას დასჯერდა, მეცნიერებასაც შეეჭიდა და ფილოლოგიის დოქტორი და კიევის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

შეამჩნიეს. გამოარჩიეს. შეაფასეს. დააფასეს.

უკრაინელებზე მოგახსენებთ.

უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა სამინისტროში მინისტრის მოადგილეობა ანდეს.

და უფრო მეტიც — უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად განაწესეს რიგაში. ახლა ლატვიური ისწავლა, ახლა ლატვიელი პოეტების თარგმნას მიჰყო ხელი ქართულად თუ უკრაინულად.

სახელი და დიდება, პრემიები და დაფასება, უკრაინისა არ იყოს, არც ლატვიაში მოჰკლებია.

მხოლოდ საქართველოში არ იციან მისი სახელი.

ხუმრობით დაიჩივლა კიდეც, თბილისში ჩამოსული წიგნის მაღაზიაში შევედი, ჩემი წიგნები მინდოდა შემეთავაზებინა და ჩემი სახელიც კი არ გაეგოთო. არც ბიბლიოთეკაში იცოდნენ, ვინა ვარ, ვის დავკარგივარო.

მოკვდება ასი წლის მერე, დაკრძალავენ კიევში დიდის პატივით და ატყდება საქართველოში ერთი ამბავი, ეს რა პოეტი დავკარგეთო! შეიქმნება ფონდი და საზოგადოება, აბა თბილისში გადმოვასვენოთო. პანთეონში დავმარხოთო. აბა ძეგლი დავუდგათო. აბა ჩილაჩავას სახელობის პრემია დავაწესოთო!

რა პანთეონი! რის ძეგლი! ორმოცი წელიწადი ჰპირდებოდნენ მწერალთა კავშირი, კულტურის სამინისტრო თუ ქალაქის მერია თბილისში ბინას და არა და არ აღირსეს.

ამასაც შნო უნდა. ესენი კი მთელი ამ წლების მანძილზე უშნოები იყვნენ. დღესაც უშნოები არიან.

ბოლოს, აგერ ახლახან, თავად უყიდია ბინა. მომბეზრდა და მერიდება ორიოდე დღით თბილისში ჩამოსულს ღამის სათევად მეგობრების შეწუხებაო.

მეგობრები ღმერთმა უმრავლოს, მაგრამ მათ შორის ჭარბობენ ისინი, ვისაც რაულ ჩილაჩავა მხოლოდ მაშინ ახსენდება, როცა უკრაინულად ლექსების თარგმნა მოეპრიანება ან კიევში გასეირნება.

ჩამოვლენ მერე კიევიდან უკრაინულად ნათარგმნი (და გამოცემული!) საკუთარი ლექსებით ხელდამშვენებულნი და მშვენიერი მთარგმნელია რაულიო, მკერდზე მჯიღს იბაგუნებენ, ბრწყინვალე მასპინძელიაო, მოსაფერებელი კაციაო...

მაგარი პოეტიაო, არავის დასცდება.

ამას შნო უნდა და იმიტომ.

მარტო პოეზიაც ხომ არ არის!

თუ უკრაინის ელჩობა გასწია ლატვიაში, საქართველოს ელჩობას ვითომ რატომ ვერ გაართმევდა თავს იმავე ლატვიაში ან იმავე უკრაინაში?!

იგი დიახაც იყო საქართველოს ელჩი ლატვიაში, დიახაც იყო და არის საქართველოს ელჩი უკრაინაში, მერე რა, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან რწმუნების სიგელები არ ჰქონია.

უბედურია ის ქვეყანა, რომელსაც რაულ ჩილაჩავას დარი პოეტები და მოღვაწეები არ ჰყავს. ათგზის უბედურია ის ქვეყანა, ვისაც ასეთი პოეტები და მოღვაწეები ჰყავს, მაგრამ შემჩნევა და დაფასება არ შეუძლია.

ჩამოიტანა რაულ ჩილაჩავამ თავისი ვეება „შნო“ თბილისში, დაგვირიგა მეგობრებს, პარლამენტის ბიბლიოთეკაში მისი პრეზენტაციაც გამართა და თან ქართველ მწერლებს მოუბოდიშა. მართალია, წიგნს გამომცემლობა „ინტელექტი“ აწერია, მაგრამ ნურავინ გაუნაწყენდებით, თუ ასეთივე წიგნს ვერ გამოგიცემთო. ეს საერთაშორისო პროექტიაო. მეორე ქვეყანაში დაიბეჭდაო, მესამე ქვეყანამ დააფინანსაო...

რაულ ჩილაჩავას ეყო მწერლური თავხედობა, ლექსების ეს ამხელა წიგნი გამოეცა, მაგრამ იმის თავხედობა კი აღარ აღმოაჩნდა, რომ მისთვის „რაულიანი“ დაერქმია.

უბრალოდ „შნო“ დაარქვა.

მაინც მაქვს იმედი, რომ საქართველო ადრე და მალე მიხვდება, რომ „დავითიანის“ შემდეგ ქართულ პოეზიაში არაფერი უფრო ფასეული არ შექმნილა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ თვალსაზრისით, რაულ ჩილაჩავას პოეზია გრიგოლ რობაქიძის პროზასა და ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო ნაშრომებს შეიძლება შევადაროთ.

და როგორც გრიგოლ რობაქიძე იქცა ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად ბოლოს და ბოლოს, როგორც ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევები იკავებს თავის კუთვნილ ადგილს ქართულ მეცნიერებაში, ისე დაიმკვიდრებს თავის ადგილს ქართულ პოეზიაში რაულ ჩილაჩავა. მერე ნათელი გახდება, რომ „კაცური კაცი“, „გულანთებული პატრიოტი“ და სხვა მორიგი ეპითეტები სულაც არ არის საკმარისი მასთან მიმართებაში, ნათელი გახდება, რომ როდესაც საუბარი ქართულ პოეზიაზე წავა, ვერავინ აუვლის გვერდს რაულ ჩილაჩავას სახელს.

და არაფერი მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, რომ სამშობლოდან მოშორების გამო — გნებავთ მივლინება უწოდეთ ამას და გნებავთ ემიგრაცია — იგი უშუალოდ ვერ მონაწილეობდა ქართულ ლიტერატურულ პროცესში, რომ მისი წიგნების (მათ შორის ქართული წიგნების) უმეტესობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არის დასტამბული, რომ იგი არასოდეს ყოფილა რომელიმე ქართული ლიტერატურული გაზეთისა თუ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომ არ აუტალახებია საქართველოს გამომცემლობათა დირექნი, რომ არასოდეს უზრუნია სახოტბო რეცენზიებისთვის.

დღეს მისი პოეზია უცნობია საქართველოში. მაგრამ, აბა, მისი სახელი აკრძალული ყოფილიყო! აბა, ყოველ საღამოს ტელევიზორში გამოეყო თავი და „აზრი დაეფიქსირებინა“ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე! აბა, ღმერთმა აშოროს, უკურნებელი რამ სენი შეჰყოროდა! აბა, თავისი ამ ვეება წიგნისათვის „შნო“ კი არა, ვთქვათ „ტრაკი“ დაერქმია!..

ტრაკი მაქვს და, დავწერეო. ტრაკი მაქვს და, გამოვეციო. ტრაკი გაქვთ და, წაიკითხეთო. ტრაკი გაქვთ და, შეაფასეთო. ტრაკი გაქვთ და, დააფასეთო!

ამ სიტყვებით არა, მაგრამ ამ შინაარსით, ამ სევდიანი დამუნათებით იყო აღსავსე რაულის გამოსვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამას წინათ გამართულ პრეზენტაციაზე, როცა თითოეულმა დამსწრემ რამდენიმე კილოგრამი მისი წიგნი მიიღო საჩუქრად — ვინ ორისამი, ვინ — ხუთი, ვინ — ათი, ვინ — მეტი. წიგნი ბევრი იყო, თუ ქართულ, თუ უკრაინულ, თუ ლატვიურ, თუ რუსულ ენებზე — პოეზია, თარგმანი, პროზა, გამოკვლევა, ესე, მემუარები...

რომ დავინახე, ეს პრეზენტაციაც აქამომდელი კალაპოტით მიდიოდა, — ერთმა საკუთარი პიროვნებისა და საქმიანობის აფიშირება დაიწყო, მეორემ მადლობები უხადა„მოსაფერებელ კაცს“, შენმა მეულლემ ჩემი მოთხრობები თარგმნაო, მესამემ მისი ბავშვობის წლები გაიხსენა — გავედი და მოკლედ ვთქვი ის, რაც ზემოთ მიწერია. არა, „ტრაკი“ არ მიხსენებია.

თუმცა იქნებ სჯობდა, რომ მეხსენებინა.

მაშინ კი გაივსებოდა ქართული ტელეეთერი რაულ ჩილაჩავათი. მაშინ კი გაიყიდებოდა მისი წიგნები. მაშინ კი დაიწერებოდა რეცენზიები. მაშინ კი მიადგებოდნენ კომენტარისათვის. რას ფიქრობთ საქართველოში არჩევნების შედეგებზე? საქართველოს მოვლენები უკრაინის სცენარით ხომ არ ვითარდება?რას ფიქრობთ საქართველო-ლატვიის ურთიერთობაზე? საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა, თქვენი მეგობრის ქალიშვილმა — მაია ფანჯიკიძემ ელჩობა ხომ არ შემოგთავაზათ?..

გავიფიქრე კი, მაგრამ ვერ ვახსენე ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბასეული „ტრაკი“. თუმცა რამდენიმე წლის წინათ ამავე დარბაზში გამართული ერთი ჩემი სეხნიის ერთი წიგნის პრეზენტაციაც მახსოვს და იქ დაქუხებული „ტრაკზე“ მკვეთრი სიტყვებიც, მაინც ვერ ვქენი და ვერ ვახსენე სიტყვა „შნოს“ ეს უაღრესად მეტყველი სინონიმი.

უნდა მეხსენებინა კიი!

მეც კაი უშნო ვარ!

ერთი, რაც გავაკეთე, სხვათა სამაგალითოდ, რაულ ჩილაჩავას — პოეტს, მთარგმნელს, დიპლომატს, ჟურნალისტს, მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს — ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრობა შევთავაზე, როგორც ამ ინსტიტუტის დირექტორმა.

ეს ინსტიტუტი ჩემი თაოსნობით სულ ორიოდე თვის წინათ დაფუძნდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. მისი სტრუქტურები ახლა ყალიბდება. **ჩვენი ინსტიტუტი დიახაც იამაყებს რაულ ჩილაჩავას სახელით. ვიამაყებთ იმითიც, რომ თუმცა ჯერჯერობით უხელფასო, მაგრამ პირველი ოფიციალური თანამდებობა რაულ ჩილაჩავას სწორედ ჩვენ შევთავაზეთ საქართველოში.**

გარდა ამისა, იმ დღეს პრეზენტაციაზე ოცდაათამდე ჩემი სტუდენტი ვაწვიე რაულს საშინაო დავალებით — აღეწერათ იმდღევანდელი ამბები. მანამდე, ჩემივე დავალებით, სტუდენტებს მაქსიმალური ინფორმაცია უნდა შეეგროვებინათ რაულ ჩილაჩავას ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. სტუდენტებმა მოგვწმინდეს ნამუსი უშნოთა და უტრაკოთა. მათ ზუსტად შეაფასეს და დააფასეს რაულ ჩილაჩავა, როგორც პოეტი და როგორც მოღვაწე.

აი, ერთი ამონარიდი მეოთხეკურსელი თამარ შველიძის საშინაო დავალებიდან:

„საღამოს დასრულების შემდეგ საჩუქრად გადმოგვცეს რაულ ჩილაჩავას წიგნები. სახლში დაბრუნებულმა მისი ლექსების კითხვა დავიწყე და გაკვირვებული დავრჩი. როგორ შეიძლებოდა, აქამდე არ მცოდნოდა მისი არსებობა? ვისი ბრალია, რომ ის დღესაც მხოლოდ ვიწრო წრისთვისაა ცნობილი? რომ მისი შემოქმედება ხელმიუწვდომელია ბევრისთვის? მე ვამაყობ, რომ ქართველი ვარ, რომ დავიბადე იმ საქართველოში სადაც დაიბადა რაულ ჩილაჩავა“.

მესამეკურსელმა გვანცა სამხარაძემ კი სწორედ მაშინ გადაგვიღო ფოტო, როცა რაული დაძაბული უსმენდა ჩემს ტირადას ქართველთაგან ერთმანეთის დაუფასებლობის შესახებ. უკეთეს ილუსტრაციას ამ წერილისთვის ვერც ვინატრებდი!..

ხოლო რაულ ჩილაჩავას დღეს უკვე აქვს საკუთარი ჭერი თბილისში, აქვს ჯერჯერობით უხელფასო, მაგრამ საპატიო თანამდებობა ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტში და ჰყავს, სულ ცოტა, ოცდაათი თაყვანისმცემელი ქართველ სტუდენტთა შორის.

ხოლო იმ დღეს, რაულ ჩილაჩავას მეასე წიგნის პრეზენტაციაზე, გამომცემლობა „ინტელექტის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა კახმეგ კუდავამ პოეტს მისი ასმეერთე წიგნის პირველი ეგზემპლარი მიართვა. ეს გახლავთ რაულ ჩილაჩავას „ჩანაწერები“ გამოცემული „ინტელექტის“ შვილობილი გამომცემლობის, „არტანუჯის“ მიერ.

ათვლა თავიდან იწყება.

ვინ იცის, იქნებ სწორედ მეასე და ასმეერთე წიგნებს შორის ძევს ის ზღვარი, სადაც უვადო მივლინება, გინდა ემიგრაცია მთავრდება და საქართველო თავისი ერთი საუკეთესო პოეტისა და მოღვაწისაკენ იბრუნებს პირს.

პაატა ნაცვლიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რეგიონული ინტეგრაცია რუსეთ-საქართველოს სარკინიგზო მარშრუტის გავლით

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ახლახან მოწყობილი გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 68% მხარს უჭერს თბილისის დაპირებას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე რუსეთთან თვითგამოცხადებული აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიის გავლით. საქართველოში საარჩევნო ალიაქოთი ცხრება და ბარიერები რეგიონული ინტეგრაციის გზაზე იმ რეგიონში, სადაც ბოლო წლებში პოლიტიკური და ეკონომიკური განხეთქილებები მხოლოდ მწვავდებოდა, ნელ-ნელა ინგრევა. საქართველოს, თავისი უნიკალური გეოსტრატეგიული მდებარეობითა და ისტორიით, შეუძლია დღეს განხეთქილების ტენდენცია შემოაბრუნოს და დაუბრუნდეს რეგიონულ ინტეგრაციას ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციისა და მეზობლებთან პოლიტიკური დიალოგის წარმართვის გზით.

ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალი – ერთადერთი დამაკავშირებელი ხაზია რუსეთსა და საქართველოს შორის. ის მეფის რუსეთმა ააგო, ხოლო საბჭოთა ეპოქის დასაწყისში გაფართოვდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს და მის სეპარატისტულ აფხაზეთის რეგიონს შორის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის დაწყებისთვის ეს სტრატეგიული სარკინიგზო მაგისტრალი დაიხურა. მეზობელ აზერბაიჯანში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად, სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა ასევე რუსეთსა და სომხეთს შორის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ამიტომ მოსკოვი დღეს თავის ხუთიათასიან სამხედრო დაჯგუფებას სომხეთში მხოლოდ საჰაერო სივრცის საშუალებით ამარაგებს.

ბრნის შეცვლა

ცვლილებებით, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს მთავრობაში მოხდა, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის ანტირუსული პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღევანდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ დამარცხდა, რუს და ქართველ დიპლომატებს შორის პირდაპირი მოლაპარაკება აღდგა – პირველად ორმხრივი ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების კონტექსტში ივანიშვილმა დამატებით პირობა დადო, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს საქართველოს გამოყოფილ რეგიონებთან კონფლიქტების დარეგულირებისთვის. ამის ყველაზე კონკრეტული ნიშანი იყო ის, რომ, მისი თქმით, იგი იფიქრებს აფხაზეთთან სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობა დღეს რთულად გადასალახი დაბრკოლებაა.

აფხაზური პერსპექტივა

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი ხინთბამ განმარტა, რომ სააკაშვილი არასდროს აღიარებდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, წარმოაჩენდა მას, როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს, დღეს კი ძალიან ცოტა რამის გაკეთება თუ შეიძლება იქიდან, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო 2008 წლის აგვისტომდე. „რეალობა შეიცვალა, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს განსაკუთრებული ენთუზიაზმი და ვერ ვხედავთ ვერანაირ პერსპექტივებს ჩვენს მომავალთან დაკავშირებით ივანიშვილთან კონტაქტებში“.

მიუხედავად ამისა, იმ ფონზე, როდესაც არ არსებობს არანაირი იმედი იმისა, რომ საქართველო აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას დღევანდელი მთავრობის პირობებში, რომელიც, როგორც ჩანს, მოქმედებს ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ძალაუფლების განაწილების სქემით, ხინთბა ამბობს, რომ სარკინიგზო პროექტზე მოლაპარაკება შესაძლებელია უფრო მასშტაბური შეთანხმების პაკეტის ფარგლებში, რომელშიც იქნება გარანტიები იმის თაობაზე, რომ საქართველოს მხრიდან ძალადობა არ განახლდება. „მაგრამ, იმავდროულად, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებულები უნდა ვიყოთ იმაში, რომ თუკი სარკინიგზო მაგისტრალი ამოქმედდება სომხეთიდან რუსეთისკენ საქართველოს და აფხაზეთის გავლით, აფხაზეთი კანონიერი მფლობელი იქნება სარკინიგზო მაგისტრალის საკუთარი მონაკვეთისა“, ამბობს იგი.

სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ამოქმედების რამდენიმე მცდელობა 2003-2005 წლებშიც იყო. შეიქმნა კონსორციუმი რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის შემადგენლობით, რომლის მიზანიც ომის წლებში დანგრეული აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენა იყო. თუმცა, მოლაპარაკება ჩაიშალა ტექნიკური მიზეზების, მათ შორის იმის გამოც, რომ მასში აფხაზეთი არ მონაწილეობდა. მაგრამ ეს იყო მანამდე, სანამ რუსეთი ოფიციალურად აღიარებდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ბუნებრივია, ახალმა რეალობამ გაართულა მოლაპარაკების პროცესი ქართული მხარისთვის.

„თუკი სარკინიგზო მაგისტრალში დაინტერესებულ ადამიანებს სერიოზული მიზნები აქვთ, მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ აფხაზეთი თავისი ინტერესებით ამ პროექტის სრულუფლებიანი მონაწილე გახდეს“, ამბობს ხინთბა. „მაგრამ, რა თქმა უნდა, დასათვლელია პოლიტიკური რისკები, რადგან ეს ჩვენზე გავლენას მოახდენს მომავალში. აფხაზეთს და საქართველოს შორის ნდობის ხარისხის მაჩვენებელი ნულს ქვემოთ არის“.

ცნობილი აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის“ დირექტორი არდა ინალ-იფა ამბობს, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ძლიერია განხეთქილება და ჩასაფრებულის აზროვნება, რის გამოც ნებისმიერი საუბარი საქართველოსთან რეგიონულ ინტეგრაციაზე აგრესიულად აღიქმება.

ინალ-იფას მიაჩნია, რომ აფხაზეთისთვის ზოგიერთი საფრთხე უბრალოდ არარეალურია ახალ სიტუაციაში და უსაფრთხოების იმ გარანტიების ფონზე, რომელიც მოსკოვმა მისი დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად გასცა. მაგრამ „საზოგადოებაში რჩება ძველი შეხედულებები, რომელიც დიდწილად ძველ რეალიებს ეფუძნება“, აღნიშნავს იგი.

რუსეთზე დამოკიდებულება და არათანაბარი განვითარება

თუმცა, ინალ-იფას თქმით, არსებობს აფხაზური საზოგადოების ნაწილი, კერძოდ საქმიანი ადამიანების თანამეგობრობა, რომელსაც ქვეყანაში სიტუაციის და საზოგადოებაში შეხედულებების შეცვლა უნდა.

თუკი რუსეთიდან პირდაპირ დახმარებას არ ჩავთვლით, რომელსაც აფხაზეთი 2008 წლის აღიარების შემდეგ იღებს, მისი ეკონომიკა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული უცხოელ, დიდწილად



რუს და უკრაინელ ტურისტებზე, რომლებსაც იაფად უნდათ დასვენება. ინალ-იფას თქმით, აუცილებელია აფხაზური ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რადგან „ყურადღების გამახვილებას მხოლოდ ტურიზმზე, რასაც ზოგიერთები უჭერენ მხარს, არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ კულტურული შედეგებიც მოჰყვება“.

მეტიც, აღიარების შემდეგ აფხაზეთმა რუსეთისგან 2 მილიარდი რუბლი მიიღო (65 მილიონი დოლარი) ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სარკინიგზო მაგისტრალის დიდი აფხაზური მონაკვეთის აღდგენაზე სოხუმიდან ჩრდილოეთით.

ეკონომიკური დივერსიფიკაციის არარსებობა და „არათანაბარი განვითარება“, რომელზეც ბევრი მიმომხილველი ლაპარაკობს, ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ საქართველო აფხაზეთთან ურთიერთობაში მტკიცედ მისდევს დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკას „თანამშრომლობა აღიარების გარეშე“.

პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც მანამდე, სანამ 2012 წლის ოქტომბერში რეინტეგრაციის მინისტრის თანამდებობას დაიკავებდა, ნაციონალიზმის და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტში მუშაობდა, სტატიაში, რომელიც სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტმა გამოაქვეყნა, წერს, რომ ცოტა პრაქტიკული ნაბიჯი თუ გადაიდგა რუსეთზე რესპუბლიკის მზარდი დამოკიდებულების შემცირებისთვის. ზაქარეიშვილი მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან „რბილი ძალის“ გამოყენების მომხრეა, რაც გულისხმობს „რესპუბლიკის მოქალაქეებთან კონტაქტების ჩამოყალიბებას ეკონომიკური პროექტების ფარგლებში, მისი ექსპორტის ლეგალიზაციას, ასევე მისი ტერიტორიის გამოყენებას ტვირთის და ადამიანების ტრანზიტისათვის“.

სარკინიგზო მაგისტრალი „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ კონტექსტში

როგორიც უნდა იყოს დასავლეთის დამოკიდებულება აფხაზეთთან თანამშრომლობაზე ან არათანამშრომლობაზე, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრებასთან დაკავშირებული ახალი სავაჭრო პოლიტიკა და გაფორმების პროცესში არსებული რუსეთის ეკონომიკური კავშირი რეგიონის ქვეყნებთან, სერიოზულად აძლიერებს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე მოთხოვნილებას მომდევნო წლებში. ჯერ კიდევ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე, 2012 წლის აგვისტოში, რუსეთის მსო-ში გაწევრება, ასევე მოსკოვის შეთანხმება საქართველოსთან საბაჟო კონტროლზე, ამ მიმართულებით გადამწყვეტ ნაბიჯებად იქცა. რადგან საქართველოს სამი სასაზღვრო გადასასვლელიდან რუსეთთან, ორს სეპარატისტული მთავრობები აკონტროლებენ, შეთანხმება გულისხმობს აღჭურვას და საერთაშორისო კონტროლს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, ხოლო მათ ტერიტორიებს დაერქვა „საკვაჭრო დერეფნები“.

ზოგიერთი აფხაზური დაჯგუფება შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ ასეთი შეთანხმების ხელმოწერით, რუსეთი ლახავს აფხაზეთის ინტერესებს და სუვერენიტეტს, ამბობს ხინთბა. თუმცა, რუსულ-ქართული შეთანხმება საბაჟო საკონტროლო პუნქტების შექმნის შესახებ იმას ნიშნავს, რომ „საქართველო აღიარებს აფხაზეთთან სახელმწიფო საზღვრის არსებობას“. როგორიც უნდა იყოს ამ სახელმწიფო საზღვრების ინტერპრეტაცია, საბაჟო კონტროლის საკითხი, რომელიც სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში მთავარი დაბრკოლება იყო, თითქოს გადაწყვეტილია.

„გარკვეული თვალსაზრისით, ეს სარკინიგზო მაგისტრალი შეგვიძლია მსო-ს პროცესს დავუკავშიროთ. რადგან იმ საქონელზე, რომელსაც რუსეთი და საქართველო გაცვლიან, სატრანზიტო და საბაჟო მოსაკრებელი ჩვენ დაგვრჩება, სარკინიგზო მაგისტრალი აფხაზეთისთვის ძალიან მომგებიანია“, ამბობს ხინთბა.

ახალი ეკონომიკური პარადიგმა რეგიონში

სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენას მოჰყვება ასევე რუსეთის ძალისხმევის ზრდა მის პერიფერიაზე მდებარე ქვეყნებთან ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაციის განვითარების თვალსაზრისით, რადგან მოსკოვი აფართოებს თავის საბაჟო კავშირს, რომელიც მთავარი საფუძველია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ევრაზიის კავშირის შექმნისა. საბაჟო კავშირი ითვალისწინებს თანმიმდევრულ და კარგად აწონდაწონილ უარს საბაჟო ტარიფებზე და წევრ ქვეყნებს შორის შიდა ვაჭრობის მასშტაბურ განვითარებაზე. მართალია, საქართველოს კურსი კვლავ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებაა, თუმცა ასეთი პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. სამაგიეროდ, საქართველომ შეიძლება სერიოზული მოგება ნახოს ვაჭრობის ეფექტიანობის გაძლიერებისა და ზრდის ხელშეწყობით რუსეთს და სომხეთს შორის, რომელთანაც მოსკოვს საერთო ფეხმავალი საზღვარი არ აქვს, მაგრამ რომელთანაც ის ჯერჯერობით მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს და მის ეკონომიკურ და სამხედრო სტრუქტურებშია ინტეგრირებული.

16 ნოემბერს ერევანში, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების შეხვედრაზე სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა მხარი დაუჭირა სარკინიგზო მაგისტრალის აფხაზურ-ქართული მონაკვეთის აღდგენას. „სარკინიგზო გადაზიდვები შედარებით იაფია, და თუკი ეს სარკინიგზო მაგისტრალი ამუშავდება, გადაზიდვების ფასი შემცირდება. ასეთ მაგისტრალში ბევრი დარგია დაინტერესებული, რადგან მათი შემოსავლები გაიზრდება, და ამით სომხეთის ეკონომიკა საერთო ჯამში მოიგებს“, – განაცხადა მან.

მზერა მომავლისკენ

საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ გულწრფელად უნდა გაიღოს ძალისხმევა აფხაზეთთან, როგორც თანასწორ მხარესთან მოლაპარაკებითი პროცესის მოგვარებისთვის, თუკი ეს სარკინიგზო პროექტი მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკა არ არის. როდესაც ეს მიზანი მიღწეული იქნება, საქართველო შეძლებს თავისი, როგორც რეგიონული ლიდერის როლის ნათლად დემონსტრირებას, თანაც რეგიონში არა მხოლოდ ვაჭრობის განვითარების და სამგზავრო გადაზიდვების უზრუნველყოფის საკითხებში, არამედ როგორც იმ პროცესის კატალიზატორისა, რომლის წყალობითაც ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელი გახდა. მაგრამ აქ კიდევ ბევრი სხვა რამ არის, რადგან გეოპოლიტიკურ დონეზე გვერდითი ინტერესებიც არსებობს, ამ ინტერესთა გამტარებლებს კი შეიძლება სულაც არ მოუნდეთ რეგიონში არსებული სტატუს-კვოს შეცვლა, რეგიონში, რომელიც დასავლეთის ენერგეტიკული ინტერესების ცენტრია. ასეთ პირობებში საქართველომ ფრთხილად და აკურატულად უნდა იმოქმედოს, რათა შეინარჩუნოს ბალანსი მის მიერ დეკლარირებულ საგარეოპოლიტიკურ ამოცანებსა და მოქმედ სავაჭრო ვალდებულებებზე, ასევე მუდმივად ცვალებად და განვითარებად რეგიონულ დინამიკაზე.

იენ კარვერი,

გლობალური განვითარების სფეროს სპეციალისტი. 2006 წლიდან ცხოვრობს საქართველოში და ხშირად სტუმრობს აფხაზეთს

„Eurasiareview.com“

დედამიწის ზურგზე

ამბრამოვიჩი საახალწლო სალამოზე კატარის შეიხს იახტებით გაეჯიბრა

უცხოელი სტუმარი რუს ოლიგარქს დღესასწაულზე ეწვია თავისი ცისფერი სუპერ-იახტით, რომელმაც ღუზა ჩაუშვა აბრამოვიჩის დიდებული თეთრი იახტის გვერდით. ამ დროს კატარელის გემი თითქმის 37 მეტრით მოკლე აღმოჩნდა აბრამოვიჩისაზე.

* * *

აშშ-ს სენატმა დაგმო „დიმა იაკოვლევის კანონი“: ობლები „პოლიტიკურ პაიკებად“ აქცია

პარლამენტარებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სენატორების მერი ლანდრიეესა და რონ ბლანტის მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციას, რომელშიც მოითხოვეს, გადაისინჯოს რუსეთში ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული კანონი, რაც უკრძალავს ამერიკელებს, იშვილონ ბავშვები რუსეთიდან, აგრეთვე გადასცენ ამერიკულ ოჯახებს ის 46 ბავშვი, რომელთა გაშვილებაც შეთანხმებული იყო ადრე.

* * *

სამი ამერიკელი მოზარდი დაიმსხვრა თვითმფრინავთან ერთად, რომელიც, პოლიციის ვერსიით, მათ გაიტაცეს

„ვფიქრობ, მათ უბრალოდ გართობა სურდათ. და აი, გაერთნენ კიდეც უკანასკნელად“, ასეთი კომენტარი გაუკეთა ტრაგიკულ შემთხვევას შერიფის თანაშემწემ. მაგრამ ერთ-ერთი დაღუპულის დედა ამტკიცებს, რომ მისი შვილი ამ თვითმფრინავს მართავდა რამდენჯერმე. მანქანის მფლობელი იცნობდა მოზარდს და თავად მისცა მას გასაღები.

* * *

გაერო ჩაერთო კოტ-დ'ივუარში საახალწლო ჟყლეტის გამოძიებაში

მსოფლიო ორგანიზაციამ ხელისუფლების განკარგულებაში გადასცა სამედიცინო გუნდი და ყველა ხელმისაწვდომი ლოგისტიური საშუალება მსხვერპლთათვის სასწრაფო დახმარების გასაწევად, აგრეთვე, ოპერატიული გამოძიებისთვის. ჟყლეტაში დაიღუპა 61 კაცი, მათ შორის 8-დან 15 წლამდე ბავშვებიც.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გურამ ხარაიძის მოსაგონარი

„პახმელიის“ დღეს დაბადებული...

აი, ვინ იყო მართლაც „შერეკილი“, აი, ვინ იყო, მართლაც არაორდინარული „ჩამოსხმის“... ეს მხოლოდ მას შეეძლო – **გურამ ხარაიძეს** – უნიჭიერეს კაცს, ზღვა იუმორის პატრონს, შესანიშნავ ჟურნალისტსა და მწერალს, 2 იანვარს, „პახმელიის“ დღეს ვარ დაბადებულიო, და 1 იანვრიდან ძველით ახალ წლამდე, დრო საპურმარილო ადგილებში გაეტარებინა, ეცეკვა, რესტორნის მუსიკოსებისთვის მიკროფონი წაერთმია და გულში-ჩამწვდომად ემღერა, რაღაც ენაკვიმატური ხმამაღლა ეთქვა და მთელი დარბაზი აეხარხარებინა, ქერათმიანი ოფიციანტებისთვის მლომად ფული ეჩუქებინა (საიდან ჰქონდა, რა ჩვენი საქმე იყო), საკუთარი „ვოლგით“ „გავარდნილიყო“ ჭიათურა-საჩხერეში, თავის ძირსა და ფესვს მოფერებოდა, ქუთაისის საძმაკაცოსთან „ეგრიალა“, „ჩამოქანებულიყო“ თბილისში, საამაყო ბიძას (დედის ძმას), ირაკლი აბაშიძეს და მის ოჯახს მოფერებოდა, თავისი უსაყვარლესი ადამიანები – „ნიანგელები“ – ნოდარ დუმბაძე, ზაურ ბოლქვაძე, გარი მეტრეველი აეყოლიებინა და „არამიანცის“ გადმოღმა ქუჩაზე, არკადი რევაზოვის კოლორიტულ ეზოში, არღანზე ექეიფა, შეერბინა რედაქციაში – გაზეთ „კომუნისტში“, სადაც „სატირისა და იუმორის“ განყოფილებას მარტოდმარტოდ განაგებდა, ყოველწუთიერი საქმე არ ჰქონდა და თუ რედაქტორის დავალება დახვდებოდა, სასწრაფოდ ისეთი ფელეტონი „გამოეცხო“, მეორე დღეს მთელი ქვეყანა აელაპარაკებინა (800 ათასი იყო „კომუნისტის“ ტირაჟი), რედაქციაში თანამშრომლებთან გემრიელად ეღადავა, მერე ჩვენთვის, „ამყოლებისთვის“ თვალი ჩაეკრა, აბა, წავედითო და ვისაც სასწრაფო სარედაქციო დავალება არ გვქონდა, საბურთალოზე თავის ოჯახში, თავის ძვირფას ცოლ-შვილში – ჯულიასთან, ქეთინოსთან, თემურთან („წიპას“ რომ ეძახდა) წავეყვანეთ. აბა, ერთი, დიასახლისი ღიმილით არ დაგვხვედროდა, არ ეტრიალა...

ცარიელა გული იყო, ცარიელა სული იყო, ოღონდ, დისტანციაც უყვარდა, მით უმეტეს მე, ათი წლით უმცროს „ღლაპს“, თუმცა პირველ „ამყოლს“, ახლოს არ მიმიშვებდა, ანუ ზედმეტს არ მაპატიებდა... „კომუნისტის“ რედაქციაში ახალი მიღებული და გურამისთვის ჯერ კიდევ უცნობი, ბელინსკის ქუჩის დასაწყისში, „ჩაპაევის“ ლუდხანაში დაგვლოცეს ჩვენმა სულგანათებულმა უფროსმა მეგობრებმა ვაჟა ჭანიშვილმა, ოთარ ლორთქიფანიძემ, ოთარ დიაკონიძემ... ქუთაისი და მაღლაკი რომ ვუხსენე, კინაღამ ცრემლი მოერია, პრასი მიყვარს იქაურიო... და დაიწყო... ხან „ჩაპაევთან“, ხან „სამაიაში“, ხან „ყაზბეგში“, ხანაც, უფრო „ძვირფას“ ადგილებში ჩვენი მიდი-მოდი...

* * *

ახლა, ვინც გურამ ხარაიძეს არ იცნობდა, ისე ნუ გაიგებს, რომ იგი ერთი თავქეიფა, სასმელს გადაყოლილი კაცი იყო. ნურას უკაცრავად. „კომუნისტის“ რედაქციაში, სადაც, დიდი რედაქტორი, ბატონი დავით მჭედლიშვილი უსაქმურს არავის აჭაჭანებდა, საკვირაო ნომერში ყოველთვის ჰქონდა გურამს იუმორესკა, ან ფელეტონი, რომელშიც, რომ იტყვიან, ამათრახებდა ყოველივე უკეთურს, მარნეულის რაიონული გაზეთის რედაქტორადაც მუშაობდა რამდენიმე წელიწადს, იქიდან, რუსულის კარგი მცოდნე, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორად დაინიშნა, იმ უბედურ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, ერთი ხანობა, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი, „საქინფორმის“ დირექტორად მუშაობდა... დალოცვილი ნიჭის წყალობით, წერდა შესანიშნავად, ავტორია იუმორისტული ნოველებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიცა „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით, იყო შესანიშნავი წიგნებისა და კინოსცენარების ავტორი, მთარგმნელი, საკმაოდ ფასობდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის არეალში, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, ეს ამბავი (თუ ვინ რას იტყოდა) გურამს დიდად არ აწუხებდა. ასეთი გვახსოვს იგი მის თანამედროვეთ, ხოლო, რა იქნება ხვალ, ვის ნამუშევარს, როგორ მიიღებს ჩვენი – „ფეისბუქს“ გადაყოლილი ქართველობა (მთელი მსოფლიო) კაცმა არ იცის...



...იქნებ, მოვიგონოთო, 2 იანვარს ოთხმოცისა გახდებოდაო, მითვლიან გურამის მეუღლე, ქალბატონი ჯულია, შვილები – ქეთინო და თემური...

ჰოდა, აი, რაც გამახსენდა (მცირეოდენი) იმ ახალგაზრდული წლებიდან...

აბა, რა გითხრათ, შეუძლებელი იყო, რომ გურამ ხარაიძეს – ბობოქარი, დაუდგრომელი სულის კაცს ოთხმოც წლამდე მიეღწია. იგი გადაჰყვა იმას, რომ არავის ჰგავდა და ასეთად დარჩა ჩვენს გულებში, ვისაც გვახსოვს!

ნათელში ამყოფოს ღმერთმა!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ბიზნესის პრობლემები

ხელისუფლება შეიცვალა, მეწარმეებისადმი მიდგომა კი ძველებური დარჩა?!

გადასახადების თემა მტკივნეულიცაა და საჭირბოროტოც

ბევრი მეწარმე უკმაყოფილოა საგადასახადო ინსპექტორებისა, ძველი, ნაცადი, ჩასაფრების მეთოდით კვალავ რომ წერენ 500-ლარიან ჯარიმებს. ვიცი, ბევრი იტყვის, გადასახადები უნდა გადავიხადოთო, და ამ მთქმელად მანანა კობახიძეც ვიხილეთ ტელევიზიით, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არ გვინდა, ახლადმოსულმა ხელისუფლებამაც, რომელსაც დიდი იმედებით შევყურებთ, იგივე მეთოდებითა და მიუღებელი ჩასაფრებებით იმუშაოს, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა.

შეგახსენებთ: მთელ ქვეყანაში საგადასახადო ამნისტიას მათ მეწარმეთა პროვოკაციული დაპატიმრებები, საგადასახადო კოდექსის გართულება და ნაღმების ჩადება მოაყოლეს. ერთ წელიწადში ორჯერ შეიცვალა სალარო აპარატები (სხვათა შორის წინა აპარატები უკეთესად მუშაობდა), თანაც გააძვირეს და საფასურიც წინსწრებით მოგვთხოვეს, ვადებიც დააწესეს და საჯარიმო სანქციებიც დააკანონეს როგორც ყიდვაზე, ისე ჩაბარებაზე. ყველაფერ ამას ონლაინ კომპიუტერული ანგარიშსწორებაც მოაყოლეს.

რა თქმა უნდა, პროგრესული ფორმები ძალიან კარგია, მაგრამ კომპიუტერული ქსელი ამისთვის აშკარად არ აღმოჩნდა მზად. თანაც კომპიუტერების შეძენა ყველას არ შეეძლო. ისევე, როგორც ძვირაღირებული აიფონებისა. აშკარად ცნობილი მონოპოლიები ამ შემთხვევით კიდევ უფრო გაძლიერდნენ. მცირე და საშუალო ბიზნესი კი კიდევ ერთხელ დაიჩაგრა, რამაც მეწარმეები კიდევ უფრო არათანაბარ პირობებში ჩააყენა ისედაც რთულ, მონოპოლისტებით გაჯერებულ სამეწარმეო გარემოში.

ჩვენში არჩევნებამდე მეწარმეობა ნაკლებად ახსენდებათ, არჩევნების მოახლოებისას კი, იცოცხლეთ... წარმოიდგინეთ, არჩევნების წინ ინდივიდუალურ მეწარმეებს (პატარა საცხობებს) თითქმის ფიქსირებული გადასახადით, უსალაროდ მუშაობის ნებართვაც კი მიეცათ. რაზეც ადრე ხმას არ ამოაღებინებდნენ.

არ შეიძლება, ორი სიტყვა არ ითქვას ქალაქის მერის განცხადებაზეც, როდესაც ეს მის მეგობარ მეწარმეს შეეხო – მეწარმეებს ჩაგრავენო! მაგრამ მის „არამეგობარ“ „შპს „ნიას“, სადაც 15-მდე მეწარმე მუშაობდა, ღამით მისი მითითებით სრულიად უნებართვოდ დაუნგრიეს კანონიერი შენობა გადასასვლელი ხიდის სიახლოვეს. ან თუნდაც ის, რომ მეტრო დელისის მიმდებარედ ეს მეწარმეები რამდენი წელია ელემენტარულ კომპენსაციას რომ ითხოვენ, ისინი რატომ არავის ახსენდება?

დღეს მათ ადგილას „ნუგეშის“ ჯიხურებია. სად არის მეწარმეთა ომბუდსმენი, ერთ მეწარმესაც რომ არ შეხვედრია და ერთ ქარხანაშიც არ გაუვლია? ქალაქის მერიამ და ქალაქის საკრებულომ ისეთი ცალმხრივი წეს-კანონები შემოუღეს უცხოურ კომპანიებს მაგალითად, „თბილისი წყალს“, „ყაზტრანსგაზს“ და „თელასს“, რომ ქართველ მეწარმეთა ინტერესები მინიმალურადაც არ არის გათვალისწინებული, ხოლო ტარიფები, მოგეხსენებათ, მოსახლეობისთვის გათვალისწინებულ ტარიფებთან შედარებით ბევრად მაღალია, რაც აძვირებს ჩვენში დამზადებულ პროდუქციის თვითღირებულებას და მას არაკონკურენტულს ქმნის. ამიტომაც გაივსო ჩვენი ბაზარი სომხური, აზერბაიჯანული, რუსული და უკრაინული საქონლით! ნუთუ ამას დიდი ეკონომისტობა სჭირდება, რომ მივხვდეთ და გავიგოთ, როგორ შეუწყოთ ხელი მეწარმოებას?

მრავალი მეწარმე მზად არის, მაღალი ფიქსირებული გადასახადი გადაიხადოს, ვიდრე ჩასაფრებითა და მიუღებელი მეთოდებით მოექცნენ. ვიფიქროთ ამ საკითხებზე, რადგანაც გადასახადების თემა მტკივნეულიცაა და საჭირბოროტოც.

მალხაზ დოლიძე,
მეწარმე.

◎ ახალი ტალანტები

მოცეკვავე რუსკა მაყაშვილი და მომღერალი ლუკა ზაქარიაძე ვარსკვლავებად აკიაფდნენ!

რამდენიმე თვის განმავლობაში „უსაქმური“ ტელემაყურებელი მონუსხულივით შეჰყურებდა ტელეეკრანს, რომ უცხოელთაგან ნასესხები, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად გადმოქართულებული სატელევიზიო პროექტები „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და „საქართველოს ვარსკვლავი“ ენახათ.

თვითმარქვია ვარსკვლავების გაღატაკებულ ქვეყანაში მსგავსი პროექტები ცნობილი „პურისა და სანახაობის“ სათავეში მოექცა და გულუბრყვილო მაყურებლის ჯიბის დაცარიელებას შეუწყო ხელი. თითოეული ზარი 50 თეთრი ღირს და... ზოგიერთი გულშემატკივარი თავიდანვე ვარსკვლავად დაგულებულ ნაცნობს ბარე ათასჯერ უმესიჯებს...

მოცეკვავეთა ფინალში ყველას რომ ეგონა, გიორგი ვარდოსანიძისა და სალომე ჭაჭუას წყვილს გამარჯვება გარანტირებული აქვსო... დახე საოცრებას – რუსკა მაყაშვილმა და ოთო ფოლადაშვილმა მეტი ხმა დააგროვეს და მთავარი პრიზი, 50 კვ. მეტრის ბინა ბათუმის „სუბტროპიკ სითიში“ მოიპოვეს. თუმცაღა, ამის გარდა, გამარჯვებულებმა და პროექტის სხვა მონაწილეებმა, თი-ბი-სი ბანკის (პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორის) და სხვა კომპანიების სახელდახელო პრიზები დაიმსახურეს... კიდევ კარგი, რომ გიორგი ვარდოსანიძემ მისთვის ესოდენ სასურველი „ჯითი მოტორსის“ პრემიუმ კლასის „რეინჯ როვერი“ მიიღო.

აშკარად სასურველი მოულოდნელობა აღმოჩნდა მომღერალ „ვარსკვლავებში“ ბათუმელი ყმაწვილი კაცის, რამდენსამე თვეში მაყურებლის თვალწინ გაზრდილი ტალანტის ლუკა ზაქარიაძის გამარჯვება. პირველ ტურებში ქრონიკულად აუტსაიდერმა, 18 წლის დამწყებმა მომღერალმა საოცარი გარდატეხა შეძლო და... მოულოდნელი დამაჯერებლობით, 75 პროცენტით მოიგო ფინალური სასიმღერო „ორთაბრძოლა“.

გულწრფელად ვულოცავთ გამარჯვებულებს! შევთხოვთ უფალს, რომ ხვალ და ზეგ მართლაც საცეკვაოდ და სასიმღეროდ გვქონოდეს საქმე!

რუსუდან ქოგულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სტუდენტური სპორტი

სტუ – ეს გამარჯვებაა!

კალათბურთის აკადემიის სპორტდარბაზში საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებული საუნივერსიტეტო ლიგის გათამაშება დასრულდა, რომლის გენერალური სპონსორი კომპანია „ბილაინი“ იყო.

ასპარეზობის გამარჯვებული სტუ გახდა, ვინც ფინალურ შეხვედრაში თსუ-ს 83:59 მოუგო. მესამე ადგილისთვის მატჩში სამედიცინო უნივერსიტეტმა სეუ 75:71 დაამარცხა. შეჯიბრების დასრულების შემდეგ მის საუკეთესო მოთამაშედ სეუ-ს კალათბურთელი გურამ პატარაია დაასახელეს.

ტურნირში სულ 10 უმაღლესი სასწავლებლის ნაკრები მონაწილეობდა, წრიული სისტემით ჩატარებული მატჩების შემდეგ კი 8 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, რომლებმაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა მეოთხედფინალებიდან გააგრძელეს და ჩემპიონ-პრიზიორების ვინაობაც გამოავლინეს.

საკუთარი ინფორმაცია

◎ კალათბურთი

მოგებაც, ორმაგი დუბლიც

ზაზა ფაჩულიამ და მისმა „ატლანტამ“ ახალი წელი წარმატებით დაიწყეს. „ჰოუქსი“ „ნიუ ორლეანს“ ესტუმრა და მძიმე ბრძოლაში, მეოთხე მეოთხედის ბოლოს მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე შეძლო მეტოქის 9-ქულიანი სხვაობით დამარცხება – 95:86.

ლარი დრიუმ ქართველი ცენტრი ამჯერად სასტარტო ხუთეულში არ დააყენა და სათადარიგოთა სკამიდან ჩართო შეხვედრაში. ზაზამ პარკეტზე 20 წუთი დაჰყო და ამ დროის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. ფაჩულიამ თავი ორმაგი დუბლით გამოიჩინა: 12 ქულა (5 ორქულიანი, 2 საჯარიმო) და 10 მოხსნა (6 მეტოქის ფარზე).

„ატლანტა“ 20 მოგებით და 10 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში III ადგილზე იმყოფება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ პერსპექტივა

IRB: საქართველოს 14 გორგოძისნაირი რომ ჰყავდეს, მისი შეჩერება ძალიან რთული იქნება

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა სტატია, სადაც ავტორი იმ მოლოდინის შესახებ წერს, რამაც რაგბის მოყვარულები 2013 წელს უნდა გაახაროს. სასიხარულოა, რომ წამყვანი სარაგბო ნაკრებების გვერდით ავტორმა საქართველოს ნაკრებიც არ დაივიწყა და ამდენი გამორჩეული მორაგბის კვალობაზე სურათადაც ჩვენი მამუკა გორგოძის ფოტო გამოიყენა.

„ამაღელვებელი 2012 წლის შემდეგ, ახლა უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც 2013 წელს სამხრეთსა თუ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გველოდება. ევროპის ექვსი ერის თასზე ჩემი ფავორიტი ირლანდიის ნაკრებია, რომელიც უშუალო კონკურენტებს – ინგლისს და საფრანგეთს მასპინძლობს და ამ თამაშების მოგებით საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდება.

გუნდების კონდიციების გათვალისწინებით, სამ გუნდს აქვს იმის შანსი, რომ ტურნირი ოთხ-ოთხი მოგებით დაასრულოს. საფრანგეთის ნაკრებს რთული კალენდარი აქვს, მაგრამ ის ისეთ კარგ კონდიციებში იყო ნოემბერში, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ფრანგებს რთული გასვლები ელით თვიქნემში და დუბლინში და სწორედ ეს ართულებს მათ ცხოვრებას. ირლანდიას და ინგლისს უკეთესი კალენდარი აქვთ და სწორედ ეს ხდის მათ ფავორიტებად.

რაღაც განსაკუთრებულს უნდა ველოდოთ „ირლანდიელი და ბრიტანელი ლომების“ ტურნედან ავსტრალიაში. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უორენ გეტლანდმა უკვე თქვა: „თუ გვსურს, რომ სამიდან ერთ-ერთ სამხრეთელ ბობოლას ვეწვიოთ და იქიდან გამარჯვებული დავბრუნდეთ, მაშინ სჯობს გეზი ავსტრალიისკენ ავიღოთ“. მომავალ მსოფლიო თასზე საუბარი კენჭისყრიდან დაიწყო, სადაც ავსტრალია ინგლისთან და უელსთან მოხვდა და „ლომების“ ტურნემ ამ მხრივ დამატებითი წარმოდგენა უნდა შეგვიქმნას.

ახალი ზელანდია მართლაც რომ მოწინავე ნაკრებია, მაგრამ მომავალი სეზონიდან ის რამდენიმე წამყვან მორაგბეს მოისაკლისებს. მას ვეღარ ექნება გუნდის კაპიტან რიჩი მაკქოუს იმედი. ახალი ზელანდია უძლიერესია მაშინ, როდესაც სონი ბილი უილიამსი არ თამაშობს რაგბილიგას, მაგრამ ახლა მის დაბრუნებამდე რამდენიმე წელი მოცდა დასჭირდებათ. “„ოლ ბლექსი“ ამ ორი მორაგბის გარეშეც ძლიერი გუნდია, მაგრამ მათთან ერთად განსაკუთრებულად ძლიერია. სამაგიეროდ, მათთვის კარგი ამბავია ის, რომ დენ კარტერს 2011 წლის ფინალში არ უთამაშია და ამრიგად, მასში მონაწილეობის დიდი სურვილი ექნება და საკარებო კარიერასაც ჯერ არ შეეშვება.

არგენტინის ნაკრებს თავისუფლად შეუძლია, რომ ნებისმიერი წამყვანი სარაგბო ქვეყნის ნაკრები დაამარცხოს. „პუმები“ უკვე ითვისებენ ზე-რაგბს, კარგად ესმით რა მოეთხოვებათ მეტის მისაღწევად და მსოფლიო თასზე ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნებიან. ისინი ეჩვევიან მაღალ სისწრაფეებზე თამაშს და როდესაც დაიხვეწებიან, წარმატებებიც აუცილებლად იქნება.

ექვსი ერის პარალელურად, თებერვლიდან სტარტს აიღებს „ევროპის ერთა თასი“, რომელიც ამავდროულად 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა. უნდა ველოდოთ საქართველოს ნაკრებისა და მისი შერკინების ხაზის ძლიერ თამაშს. ისინი მართლაც ძლიერ გუნდს აყალიბებენ. მქონდა ბედნიერება საქმეში მენახი მათი გიგანტური შერკინების ფრთა მამუკა გორგოძე. ის „მონპელიეს“ მაისურით „ჰაინეკენის თასზე“ თამაშობდა და თუ ქართველები მის მსგავს 14 მორაგბეს იშოვიან, მაშინ მათი შეჩერება ძალიან რთული იქნება“.

ბეჟან დოლიძე

◎ რევანში

საშობაო კანონადა

ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ძიუდოისტ ზურაბ ზვიადაურის სახლი ახალი წლის ღამეს ავტომატიდან დაცხრილეს.

ახმეტის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის განცხადებით, შემთხვევა ახალი წლის დადგომიდან დაახლოებით საათნახევარში მოხდა.

ზვიადაურისვე განცხადების თანახმად, უკვე დაკავებულია ეჭვმიტანილი - ძებნილი გიორგი ქისტაური, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე უკრაინაში იმალებოდა და იგი საქართველოში შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ ჩამოიყვანა.

სახლის საძინებელი ოთახის ფანჯარასა და კედელს სულ 13 ტყვია აქვს მოხვედრილი. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

დიასაც, მწვრთნელებიც უნდა დავაფასოთ

„მსოფლიო სპორტის თასისა“ და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოსაპოვებლად მიმდინარე ინტერნეტ-გამოკითხვის გამარჯვებული გახდა უკრაინის „ილიჩოვეცის“ მოთამაშე თორნიკე ოქრიაშვილი, რომელმაც 642 ხმა დააგროვა. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 1831-მა გულშემატკივარმა მიიღო.

მე-2 ადგილზე, 588 ხმით, ჰოლანდიის „ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშია გავიდა, ხოლო მე-3 ადგილი წილად ხვდა თბილისის „დინამოს“ გოლკიპერ გიორგი ლორიას, რომელმაც გამოკითხულთა 280 ხმა მიიღო.

დაპირებისამებრ, „მსოფლიო სპორტის თასის“ მფლობელის თორნიკე ოქრიაშვილის პირველი მწვრთნელი 2013 წელს ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობის სტიპენდიას მიიღებს, ხოლო კაშიასა და ლორიას პირველი დამრიგებლები, ყოველთვიურად 100-100 ლარს მიიღებენ.

თორნიკე ოქრიაშვილს „მსოფლიო სპორტის თასი“ უახლოეს მომავალში გადაეცემა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ესპანეთი პირველი ფინალისტია

ავსტრალიის ქალაქ პერტში მიმდინარე ჰოფმანის თასის გათამაშებაში პირველი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მატჩში გადამწყვეტი წყვილთა შეხვედრა გამოდგა. ანაბელ მედინა გარიგესმა და ფერნანდო ვერდასკომ 6:1, 6:3 დაამარცხეს ვინუს უილიამსისა და ავსტრალიელი ტანასი კოკინაკისის (მან ტრავმირებული ჯონ იზნერი შეცვალა) დუეტი და საბოლოოდ პირნეელებმა 2:1 იმარჯვეს.

ესპანელებმა B ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს, A ჯგუფიდან კი ფინალში გასვლის შანსი ერთდროულად 3 ნაკრებს (სერბეთი, იტალია, ავსტრალია) აქვს.

როსტომ რაჭველიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფინანსები

ბანკში კი არა, მუთაქაში შესანახი ფულის შოვნაც ჭირს!

ნებისმიერი, რაგინდ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის ინვესტიციებს, მათი ნაკადის ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მრეწველობისთვის, ბიზნესის განვითარებისთვის, ისე არსებული სოციალური მდგომარეობის დონის ასამაღლებლად.

თავისთავად, ინვესტიციები ორი კატეგორიისაა – შიდა და უცხოური. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო თვეებში საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება საგრძნობლად შემცირდა, რაც ყოფილი ხელისუფლების ლიდერებმა უმაღლ ახალი მთავრობის რამდენიმე იმდროინდელი მაღალჩინოსნის დაკავებას დაუკავშირეს, რომელიც იმთავითვე პოლიტიკურ დევნად მონათლეს: ამან ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი შელახაო.

კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, წლეულს მესამე კვარტალში **(წლის ბოლო კვარტალისა და მთლიანი მონაცემები გაზაფხულზე გახდება ცნობილი – ო.ტ.)** პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 195 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებლის 62 პროცენტია. ასევე 23,9 მილიონი ლარით შემცირებულია მათი ოდენობა 2012 წლის მეორე კვარტალში მესამე კვარტალთან შედარებით. სწორედ ამის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ახალი მთავრობისთვის პრეტენზიების წაყენება, თუმცა კი ოპონენტებს რატომღაც ავიწყდებათ ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ არჩევნები, თავისთავად, უცხოელ ინვესტორთათვის ერთგვარად „წითელი“ ნიშანივითაა და ამ დროს ისინი, ჩვეულებრივ, თავს იკავებენ სახსრების დაბანდებისგან. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მომხრენი განზრახ არ ასახელებენ, ისაა, რომ არსებული ინვესტიციებიც კი არასამეწარმეო სფეროში მიიმართება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას კი არ ემსახურება, არამედ, უმეტესწილად, უძრავი ქონების და აქტივების შეძენას ხმარდება, რითაც ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერს ვიგებთ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეორე კატეგორიაა შიდა ინვესტიციები, რაც ქვეყნის მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის დონეზეა დამოკიდებული. ეს პროცესი კი ჩვენში, სამწუხაროდ, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ძირითად მასაში უმუშევარ, ანდა მცირედანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებულ ხალხს ბანკებში დანაზოგების შენახვის მიდრეკილება, სავსებით გასაგები მიზეზით, ნაკლებად აქვს. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი კატეგორიაა ხალხის დანაზოგები შიდა ინვესტიციების წყაროს „სისხლსავსეობისთვის“, ამას ცოტა ხნის წინანდელი მსოფლიო ბანკის გამოკვლევა „საფინანსო ჩართულობის შეფასება“ ადასტურებს, რომელშიც მთელი რიგი საგულისხმო მონაცემებია მოყვანილი. სპეციალისტების გაანგარიშებით, მსოფლიოში დაახლოებით 2,5 მილიარდი ადამიანია, რომელიც, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, რომელთა შორის „შავი ნაღდი ფულის“ გამოჩენის შიში და, გარკვეულწილად, ბანკების მიმართ უნდობლობაა, საბანკო მომსახურებით არ სარგებლობს.

ეს კი, თავის მხრივ, როგორც მათი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას, ასევე პირად კეთილდღეობას აყენებს ზიანს. 148 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საბანკო ანაბრები ზრდასრული მოსახლეობის მეხუთედზე ოდნავ მეტს აქვს გახსნილი, ხოლო ფულის დასაგროვებლად მათ მხოლოდ 43 პროცენტი იყენებს.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ის მაჩვენებელი დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებითაც კი. **თურმე ჩვენში საბანკო ანგარიში ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მესამედს აქვს გახსნილი, ფულს კი მათ შორის მხოლოდ ერთი პროცენტი აგროვებს.** ამის მიზეზებს სხვადასხვა ექსპერტი ერთობ განსხვავებულად ხსნის: ზოგის აზრით ეს, უწინარესად, მოსახლეობის შემოსავლის დაბალი დონითაა განპირობებული, რაც, ჩვენი აზრით, გაცილებით მართებულია, ვიდრე სხვა მოსაზრება, რომლის თანახმად, ეს უფრო ეროვნულ ხასიათს უკავშირდება, რომელშიც ფულის ხარჯვის მიდრეკილება მის დაზოგვა-დაგროვებას ჭარბობს. ზემოთ მოყვანილი მიზეზთაგან პირველის სისწორეს, ვფიქრობთ, თუნდაც ქვეყანაში დასაქმების პრობლემა მოწმობს. დანაზოგების მქონე ხალხის მცირე რიცხვის მიზეზი კი დასაქმებულთა უმრავლესობის მიერ ყოველთვიური შემოსავლის დაბალი დონეა, რაც ფულადი სახსრების დაგროვების შესაძლებლობას, ფაქტობრივად, არ იძლევა. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებითაც კი, ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის ოდენობა 36,5 პროცენტს შეადგენს, თუმცა კი რეალური სურათი გაცილებით მძიმეა, რის გამო ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს უაღრესად საგანგაშო მაჩვენებელი 50 პროცენტზე გაცილებით მეტია: **მოსახლეობის 15 პროცენტი დღეში საარსებოდ ორ დოლარზე ნაკლებს ხარჯავს, თუმცა კი ჯერ კიდევ 2010 წელს პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაში ამ კატეგორიის ხალხის რიცხოვნობა ორ პროცენტს არ აღემატებოდა!** ბალტიისპირეთში სიღარიბის ზღვარზე, ან მის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის კატეგორია, ფაქტობრივად, აღარ არის, ეს მაჩვენებელი ჩვენსაზე გაცილებით დაბალია მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბანკებში ანაბრების, ფინანსური სახსრების დაგროვების შესაძლებლობის უქონლობა არა იმდენად ეროვნული ხასიათის, არამედ უმუშევრობის მაღალი, ხოლო დასაქმებულთა უმრავლესობაში ყოველთვიური შემოსავლის დაბალი დონითაა გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობითაა განპირობებული. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის გზაზე რთულად დასაძლევი ზღუდე მისი საგარეო ფინანსური ვალდებულებებია, რომელთა მომსახურებაზე (აღარაფერს ვამბობთ საბოლოოდ გასტუმრებაზე, რის გაკეთება მომავალ თაობას მოუწევს) ეროვნული შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის, რომელიც, სხვა შემთხვევაში, ისევ ეროვნული ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას შეიძლებოდა მოხმარებოდა. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, 21-ე საუკუნეში საგარეო ვალის მოცულობა საქართველოს რამდენჯერმე გაეზარდა, ვიდრე მისი აქტივები, რამაც ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია საგრძნობლად გააუარესა. კერძოდ, **თუ 2000 წელს საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (რაც ვალდებულებებისა და აქტივების თანაფარდობას გულისხმობს) მინუს 2 მილიარდ 169 მილიონი დოლარი იყო, 2012 წლის დამდეგისთვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13,4 მილიარდ დოლარს გაუტოლდა.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ექსპერტების მოსაზრება გავიმეოროთ, რომ ეკონომიკის მარტო უცხოური ინვესტიციებით განვითარებაზე აქცენტის გადატანა მცდარი გზაა, საჭიროა შიდა ფინანსური რესურსების აქტიური გამოყენება, რისთვისაც სათანადო ნაბიჯებია გადასადგმელი. ზოგიერთი მათგანის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, გარდა ამისა, ეკონომისტები ამბობენ, რომ **საჭიროა მოსახლეობის მიერ საბანკო დანაზოგებზე ზრუნვის სტიმულირება, ვთქვათ, დაზოგილი შემოსავლის გადასახადისგან გათავისუფლებით.** გარდა ამისა, საჭიროა ანაბრისა და კრედიტის პროცენტების განსხვავების (სპრედის) შემცირება, რომელიც საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. საჭიროა, ასევე, საფონდო ბირჟის შექმნა, სადაც მოსახლეობაში არსებული თავისუფალი ფინანსური სახსრების მობილიზება-გადანაწილება იქნება შესაძლებელი.

ოთარ ტურაბელიძე

განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს კანონის – „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მე-8 მუხლის 3 პუნქტისა და აკადემიის წესდების VII მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად აცხადებს კონკურსს აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი.

პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ: აკადემიის აკადემიურ საბჭოს, სამეცნიერო დარგობრივ განყოფილებებს, აკადემიის წევრთა ჯგუფებს, ცალკეულ წევრებს, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

1. ზემოთ აღნიშნული პიროვნებების, ჯგუფების და დაწესებულებების წარდგინება;
2. ავტობიოგრაფია;
3. კადრების აღრიცხვის ფურცელი CV;
4. ორი ფოტოსურათი;
5. სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი მოწმობები (ნოტარიულად დამოწმებული).
6. გამოქვეყნებული შრომების სია;
7. სამომავლო მუშაობის პროგრამა.

მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მისამართი: ივ. ჯავახიშვილის ქ. №51. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ტ. 291 01 14; 291 03 90.

ქალიშვილები მანანა, მაია ჯიბლაძეები, სიძეები გოჩა ჩოგოვაძე, დავით თავხელიძე, შვილიშვილები მანანა თავხელიძე, ირაკლი ჩოგოვაძე, რძალი ტუსი კაპანაძე, სიძე ოთარ გიორგობიანი, შვილთაშვილები სანი, გიორგი ჩოგოვაძეები, დავით, ირაკლი გიორგობიანები, რძალი გუგუნინა ქვარიანი, ძმისწულები მარინა, გიორგი გეგელაშვილები ოჯახებით და ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ვლადიმერის ასული

გეგელაშვილი-ჯიბლაძე

პანაშვიდი 4, 5 I, გამოსვენება ი. ჭავჭავაძის გამზ. №9, 6 I, 14 სთ.

აჭარის ქალთა დარბაზის ხელმძღვანელს (აჭარის ქალთა საბჭო), პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ ნანი გუგუნავას თანავუგრძნობთ მისი ქალიშვილის

ნინო გათენაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ქალთა საბჭო

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე აკადემიის აკადემიკოსის და კოლეჯის პროფესორის

ბადრი სალუქვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრს კორნელი სალიას მამის

კირილე სალიას

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ინფორმაცია

დამწვრობის ცენტრს 22-მა მოქალაქემ მიმართა

საახალწლო შუშხუნებისა და პიროტექნიკის მოხმარების წესების დარღვევის გამო, დამწვრობის ცენტრს 22-მა მოქალაქემ მიმართა.

როგორც დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ განაცხადა, ბოლო სამი დღის განმავლობაში ამბულატორული მკურნალობა 18 ბავშვსა და ოთხ მოზრდილს დასჭირდა, რომლებსაც საახალწლო პიროტექნიკის არასწორი გამოყენების გამო სახე, ქუთუთოები და ხელის მტევნები დაუზიანდათ.

ყველა პაციენტი ამბულატორულ მკურნალობას გადის.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

შიდსმა პატიმარი იმსხვერპლა

№18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შიდსით 47 წლის მსჯავრდებული გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, პატიმარი გ.ს. რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გუშინ დილით დაიღუპა.

– №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი 2013 წლის 3 იანვარს, დილის 04:30 საათზე გადაიყვანეს 316 დაწესებულებაზე რიცხული ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრიდან, დიაგნოზით: აივ ინფექცია (შიდსი) სპ სტადია, პნევმოცისტური პნევმონია, აივ ასოცირებული განლევის სინდრომი, ტერმინალური მდგომარეობა, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი, ფილტვის ტუბერკულოზი მგბ(-) უარყოფითი, იშემიური ინსულტის შემდგომი ნარჩენი მოვლენები, მარცხენამხრივი ჰემიპარეზის სახით, სუნთქვის მწვავე უკმარისობა. სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტი მოთავსდა ანესთეზია-რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდა რეანიმაციული ღონისძიებები. მიუხედავად სამედიცინო დახმარებისა, სამწუხაროდ პატიმრის სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდა, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოეტის ერთი ლექსი

ფრენას ჩვეული

ცაზე ვარსკვლავი
ვეღარ ანათებს,
მთვარეც, ვით მაშინ
აღარ ელვარებს.
ჟამი ცბიერი და მუხანათი,
წყვდიადით მოსავს
ფიქრთა მწვერვალებს.

მე უფლისაგან ვიყავ
რჩეული,
ჩემი ოცნება ზეცას
შერთვია,
რადგანაც ფრენას ვიყავ
ჩვეული,
მწამდა, რომ ჩემში ცა და
ღმერთია.

ახლა კი რაღა დამრჩა
ნუგეშად?!
მოგონებების ტკბილი
წამები!
რადგან ყოველი ჟამს
დაუგეშავს,
ვითარც წარსულის
ჰოლოგრამები.

სულ სხვა ყოფილა ოცნება
ბავშვის,
სადაც სიცოცხლის სხივი
ხეირობს.
და... სიყვარული, ვითარცა
მაშინ,
გულში მიმოდის და...
დასეირნობს...

ციცო აბრამია

◎ საზამთრო რჩევები

რა დროს დიეტაა ამ სიცივეში!

წლის ცივი დრო ბევრისთვის ცუდი გუნება-განწყობის მთავარი მიზეზია ხოლმე, რაც, ფსიქოლოგთა აზრით, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ბუნებრივია, რომ მზის ნაკლებობა, ქარი, მოჟამული ცა გულს არ ახარებს, მაგრამ საკუთარ თავს თქვენვე თუ არ უშველეთ, ეს მდგომარეობა გაზაფხულამდე გაგყვებათ. ამიტომ, ცუდი გუნება-განწყობისგან თავის ასარიდებლად, რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.

სასარგებლო დატვირთვა

ზამთარში ორგანიზმს მუშაობა უნდა აიძულოთ, რის საუკეთესო საშუალებაა ფიზიკური ვარჯიში. **ფიტნეს-კლუბებში ნახევარსაათიანი დატვირთვა ტონუსს აგიმაღლებთ და გუნებას გამოგიკეთებთ.**

დარბაზში ვარჯიში შეგიძლიათ აუზში ცურვით, ან ფეხით სიარულით შეცვალოთ. ზამთარში მეტად სასარგებლოა სუფთა ჰაერზე, ღია და კარგად განათებულ ადგილებში სეირნობა.

არომათერაპია

ზამთრის უგუნებობასთან ბრძოლის კარგი საშუალებაა არომათერაპია. დამტკიცებულია, რომ **სასიამოვნო არომატები გუნება-განწყობას აუმჯობესებენ.** საამისოდ შეგიძლიათ აეროზოლების, ეთეროვანი ზეთების, სანთლების, საკმევლებისა და არომატული ჩხირების გამოყენება. ამის გარდა შეგიძლიათ რამდენიმე წვეთი სუნამო ცივ ელექტრონათურას მიაპკუროთ და შუქი ჩართოთ, რაც ოთახში სასიამოვნო სუნს დაატრიალებს.

საშინაო პირობებში არომათერაპიის გამოყენება აბაზანის მიღების დროსაც შეგიძლიათ. საამისოდ წყალს რამდენიმე წვეთი არომატული ზეთი უნდა შეურიოთ. სამსახურში კი არომანათურის გამოყენება შეგიძლიათ. ამისთვის **ნაძვის, ლიმნის, მიხაკისა და მანდარინის ეთერზეთები პროპორციით 4:2:1:1-ზე უნდა შეურიოთ და კარგი განწყობის ნაზავი მზად არის!**

მუსიკას უსმინეთ

სასიამოვნო მელოდიები ყოველთვის ხელს უწყობენ კარგ გუნებაზე ყოფნას, თავსაც უკეთ გაგრძნობინებენ. ზღვის ტალღების დგაფუნი, ტყის შრიალი, სუსტი ქარის ხმა სტრესის დაძლევაში დაგეხმარებიან.

გამოცდილი ექიმები კლასიკური მუსიკის მოსმენას გვირჩევენ, რომელიც ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს. **ტონუსის ასამაღლებლად უმჯობესია მარშების მოსმენა, ხალხური მელოდიები კი მღელვარების გრძნობის დაძლევაში დაგეხმარებიან.**

ბრძოლა ზამთრის ძილძუშთან

ნუ აყვებით დიდ ხანს ძილის ცდუნებას. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ **უმჯობესია ზამთარში ძილის დრო შევამციროთ.** ამ გზით თქვენ შეძლებთ რეჟიმის ნორმაში მოყვანასა და ორგანიზმის ტონუსის შენარჩუნებას. **მოზრდილმა ადამიანმა ზამთარში დღე-ღამეში რვა საათზე მეტი არ უნდა იძინოს, ბავშვმა კი — არა უმეტეს ათი საათისა.** ამ რეჟიმს თუ დაიცავთ, რამდენიმე დღეში სიმხნევე მოგემატებათ. თუკი ძილი გძლევთ, უმჯობესია ხუთწუთიანი გამამხნევებელი ვარჯიში გააკეთოთ, რათა დღისით დაძინებას თავი აარიდოთ.

სწორი კვება

იმისთვის, რომ ზამთარში ამინდის ცვალებადობაზე ორგანიზმმა ნორმალური რეაგირება მოახდინოს, საკუთარი კვება და რაციონი უნდა მოაწესრიგოთ. საამისოდ, **კარგად ისაუზმეთ და ისადილეთ, მოერიდეთ დიეტის დაცვას. ზამთარში ორგანიზმს B ჯგუფის ვიტამინები სჭირდება, რომლებსაც საქონლის ხორცი, კვერცხი, ყველი და რძე შეიცავენ.** ამასთან, წლის ცივ დროში საჭიროა „კარგი განწყობის“, ჰორმონის (სეროტონინის) მიღება, რომელსაც **შოკოლადი და ბანანი** შეიცავენ. ამიტომაც ისინი გემოზე შეგიძლიათ მიირთვათ.

ირმა ირემაშვილი

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი გარეგანიდან

ნ-პუნქტიანი გეგმა — საკაკაშვილი „ალიბის“ იძმნის

გეგმის შინაარსისა და პათოსის გაცნობის შემდეგ, აგრეთვე შეთავაზების ფორმიდან გამომდინარე, ცოტა თუ დაიჯერებს, საკაშვილის, აგრეთვე, „ნაცმოძრაობის“ მხრიდან თანამშრომლობის სურვილის გულწრფელობას. უფრო დიდი ალბათობით, ნ-პუნქტიანი გეგმა აპრიორი გათვლილია იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ მას არ მიიღებს. გეგმა, გარდა იმისა, რომ შორს დგას პოლიტკორექტულობისგან, „ქართული ოცნებისგან“ ითხოვს, უარი თქვას წინასაარჩევნო პროგრამისა და დაპირებების მთავარ კომპონენტზე — სამართლისა და სამართლიანობის აღდგენაზე.

„ყველა სიახლე“

„ოცნებამ“ თქვა, ანაბრების დაბრუნებაზე არც იოცნებოთო...

ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირი დაიშალა და ანაბრებიც აორთქლდა. ამ დღის შემდეგ საბჭოთაემბლემიანი შემნახველი სალაროს წიგნაკით ხელში ვის არ შესჩიოდნენ შველას, წიგნაკებს მიტინგიდან მიტინგზე დაატარებდნენ და ანაბრების დაბრუნებას ითხოვდნენ. ითხოვდნენ „ნაციონალებისაგანაც“, მაგრამ ამაოდ. დღეს ამ ანაბრების დაბრუნების წყარო აღარ არსებობს. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში კი ანაბრების დაბრუნებაზე არაფერია ნათქვამი.

„ალია“

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

— ძვირფასო, — ეუბნება ცოლი ქმარს, — ხომ არ დაგინახავს, სად დავდე წიგნი „როგორ მოვიყაროთ ასი წლისა?“ ვეძებ და, ვერ ვპოულობ.

— რას იპოვი, ფანჯრიდან მოვისროლე, რადგან დედაშენმა დაიწყო მისი კითხვა.

* * *

— იცი, მიხოს გოგოს ორი მთხოვნელი შესძლევია — ინჟინერი და ექიმი, — ეუბნება ნიკა ძმაკაცს.

— მერე რომელს გაუმართლა?

— ექიმს, რადგან გოგომ ინჟინერი აირჩია.

* * *

— ძვირფასო, რად ხარ ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი? ჩემი ხელფასი არ გეყოფა? — ეკითხება ტიპი საცოლეს.

— მე კი მეყოფა, მაგრამ შენ რით იცხოვრებ?

* * *

— ჩემს ცოლს ანეკდოტი მოვუყევი და უკვე ერთი კვირაა, რაც არ მელაპარაკება, — ეუბნება ტიპი ძმაკაცს.

— გშველებია და ეს არის. ახლა ის ანეკდოტი სიდედრსაც მოუყევი და საერთოდ აშენდები.

* * *

— საოცარია პირდაპირ, რატომ ჰყავთ ყველაზე დებილებს ყველაზე ლამაზი ცოლები? — ეუბნება ქმარი ცოლს.

— ოჰ, შე პირფერო შენა! — უპასუხებს ცოლი.

* * *

— უფალო მოსამართლევ, ის, რომ სამი ცოლი მყავდა, წმინდა წყლის სიმართლეა, — ეუბნება ბრალდებული მოსამართლეს, — მაგრამ შედით ჩემს მდგომარეობაში — მე ხომ სამი სიდედრიც მყავდა!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com